წლიწადი პირველი

ფასი 5 კაპ.

შაბათი, 5 ქრისტეშობისთვე 1915 წ. № 160

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივ სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მანეთი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

საქართველოს კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" 1 ქრისტეშობისთვიდან წლის დამლევამდე ღირს 80 კაპ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело" Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვათ.

საჯარო ვაჭრობა

6 დეკემბერს ამა მიმდინარე წლისა, დილის 12 საათზე დ. სამტრედიაში სასოფ.-სამმართველოს დარბაზში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

იჯარით გაიცემა 1916 წლის პირველ იანვრიდან 1917 წლის პირველ იანვრამდე შემდეგი შემოსავლიანი სტატიები:

1. საიარმარკო ბუტკები
2. საწვრილმანო საიარმარკო მოედანი
3. მწვანე ბაზარი და სასწორი (ყაფანი)
4. საყასბო და
5. პირუტყვების გასასყიდი ქართა.

მსურველთ ვაჭრობის პირობების გაგება შეუძლიათ ყოველ დღე, სამტრედიის სასოფლო კანცელარიაში.

სამტრედიის საზოგადოების ვექილი **პ. პ. გელეიშვილი.**

(3—12—3)

ახლად გახსნილს ინტელიგენტურს სასადილო

„პეტროგრად"-ში

კრუზენშტეინის ქუჩაზე, „Тифл. Листок"-ის **რედაქციის პირდაპირ**

მზადდება ყოველნაირი

ევროპიული და აზიური საჭმლეზი

ძრიელ ხელმისაწდომ ფასებში: 2 თავი 50 კ. ხოლო სამი თავი 65 კაპ.

თვიურად ფასდაკლებით, ე. ი. 2 თავი—13 მან., 3 თავი—16 მან.

შეიძლება ვახშმის შეკვეთა.

პატივისცემით **ს. კახეთელიძე** და **გ. არჩვაძე.**

25—24

გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს

ი. თ. გვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

ქ. გ ო რ შ ი

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ე ქ ი მ ი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ა

მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მ უ ხ ა ძ ე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

თბილისის უმაღლეს ქალთა კურსების მსმენელი ქალი

ეძებს გაკვეთილს,

ან ბინას, სადაც საჭიროა მასწავლებელი ქალი. მომზადება ყველა საგნებში (გარდა ენებისა) ყოველი კლასისათვის. უმთავრესად კი ქართულ ენაში. **მისამართი** იკითხეთ „საქართველოს" რედაქციაში.

(15—11—6)

„სორაპანის" გამოცემა.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად ქართული

კედლის კალენდარი 1916 წლისა

შედგენილი გრ. ჩარკვიანისა და მ. გაჩეჩილაძის მიერ.

ჯიბის—სახალხო კალენდარი 1916 წლისა

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

ვისაც სურს „პარტიით" იყიდოს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით:

თბილისი, სტამბა „სორაპანი", მ. გაჩეჩილაძეს.

5—10—5

„წნორის წყლის" სადგურთან, სულ რამდენსამე ნაბიჯზე, თვით სადგურიდან, გაიხსნა

სასტუმრო „ჯუგაანი"

სასტუმრო მოწყობილია სუფთად და ევროპიულად ნომრებით და ბუფეტით

15—13 პატივისცემით **ნიკო (კოლა) ზურაბის-ძე ზედელაშვილი**

სტუდენტი-ფილოლოგი

პეტროგრადის უნივერსიტეტისა

ამზადებს საშუალო სასწავლებლის ყველა კლასისათვის. სპეციალად რუსული ენა, რუსული ლიტერატურა, ლათინური ენა და მათემატიკა.

საჩქარო მომზადება პრაპორშჩიკების სკოლისათვის.

პირობის გაგება შეიძლება „საქართველოს" რედაქციაში.

(15—1)

ომის ამბები

ომის დეპეშები

4 ქრისტეშობისთვე.

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა

პეტროგრადი. 3 ქრისტეშობისთვე. დასავლეთ და კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

—

სოლუნი. გუშინ საგულისხმიერო ბრძოლა არ მომხდარა. ბულგარები მკვდრებსა მარხავდნენ. მოკავშირენი პოზიციებს მძიმე ზარბაზნებით ამაგრებენ. ზედრედნოუტით დახმარებას გაუწევენ ქვეითა ჯარებს.

ქალაქში ბერძენთა გარნიზონიდან მხოლოდ მეთერთმეტე დივიზია დარჩა. საპერების პოლკი და საციხოვნო არტილერია. თუ საჭიროება მოითხოვს ამ გარნიზონის გაყვანას, მაშინ წესიერებას დაიცავს კრიტოსელ ჟანდარმერთა ბათალიონი.

ათინა. მოლაპარაკება ბერძენთა გენერალ შტაბისა და მოკავშირეთა შორის უკვე დამთავრდა სოლუნის დაცვის შესახებ. ბულგარებმა მთელს ფრონტზე 130 ათასი კაცი დაჰკარგეს. ფრანგთა ფრონტი მაკედონიაში გაჭიმულია კარასიდან ვერვენამდე. გევგელში მყოფი სერბთა ორი პოლკი ინგლისელებთან ერთად იბრძვიან.

მეფე ფერდინანდმა მემკვიდრითურთ მონასტირი ინახულა.

პარიზი. საგულისხმიერო არა მომხდარა რა. ბულგარებს საბერძნეთის საზღვრები არ გადმოულახავთ.

დარდანელში 1 ქრისტეშობისთვეს ოსმალები შეეცადნენ თხრილების შესწორებას. დღისით ჩვენი მძიმე არტილერია თამამად უპასუხებდა მტრის ბატარეათა ცეცხლს აზიის სანაპიროებზე, საიდანაც სედულდარს აუტეხეს სროლა. სანაღმო ბრძოლა ენერგიულად გრძელდება.

რომი. ავსტრიელები აზვიადებენ ადრიატიკის ზღვაში მომხდარს ინციდენტს. მტრის ერთად ერთი თამამი მოქმედება ის გახლდათ, რომ ძლიერი ნაღმოსნებით თავზე დაესხნენ ჩვენს სავაჭრო გემებს, რომელთაც ალბანეთისკენ ვისტუმრებდით. ამ თავდასხმას ოდნავაც არ შეუჩერებია ალბანეთთან ჩვენი დამოკიდებულება და ჯარებს მშვიდობიანად ვგზავნით. მხედრობით დატვირთული ტრანსპორტები მშვიდობიანად მიდიან ნავთსადგურებამდე.

მხოლოდ ერთი მათგანი „რე-უმბერტო" და კონტრნაღმოსანი „ინტრეპიდე" წააწყდნენ სანაპირო ნაღმს, მაგრამ მათმა თანამგზავრმა გემებმა გადაარჩინეს ჯარები 40 კაცისა და 3 მეზღვაურის გარდა, რომელნიც აფეთქების მსხვერპლნი გახდნენ.

დასავლეთი ფრონტი

ლონდონი. ფელდმარშალ ფრენჩის მაგიერად საფრანგეთში და ფლანდრიაში ჯართა უფროსად დაინიშნა დუგლას-გეგ. ფრენჩი ამ თანამდებობიდან საკუთარი თხოვნის თანახმად იქმნა გადაყენებული. მეფემ მას ვიკონტობა უბოძა.

ჰავრი. დიქსმიუდეს ჩრდილოეთით მთელმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. ქალაქის სამხრეთით საკმაოდ სასტიკი საარტილერიო ბრძოლა იყო. ბალნკესის ციხესთან ავაფეთქეთ ტყვია-ყუმბარის საწყობი.

ლონდონი. 2 ქრისტეშობითვე. გუშინღამ მტერმა ნაღმი ააფეთქა. მაგრამ ჩვენ მალე შევიმაგრეთ თავი და უკვე ვაქციეთ მტერი მესინის სამხრეთით ჩვენ დავიჭირეთ მტრის ბარიკადა. ჩვენმა მფრინავებმა მარჯვედ გაითარეშეს ერვილიისკენ.

ზავი.

სტოკჰოლმი. 3 ქრისტეშობისთვე. აქაურ ამირეულ მისიამ განაცხადა, რომ ჩვენ არავითარი დამოკიდებულება არა გვაქვს ფორდის ექსპედიციასთან რათა ზავის შესახებ ვიზრუნოთო.

სპარსეთი.

თეირანი. 3 ქრისტეშობისთვე. რუსის ჯარები აგერ მეხუთე დღეა ენერგიული იერიშით მიდიან მთელს ფრონტზე და ხამანდის რაიონს იჭერენ. მტრის ძალა გაყოფილია. რუსებს წინ უძევთ ყუმა; რომელიც მეამბოხეთა ცენტრად ითვლება. აქ თავმოყრილია ინგლის-რუსეთის მოწინააღმდეგე პარტიის მეთაურები. აქედან მუქარას უთვლიან ყველას, ვინც კი ურჩობას გაუწევენ და მათ არ დაემორჩილებიან. მათვე გადასჭრეს აქედან სატელეგრაფო მავთულები, რითაც სპარსეთი მოსწყვიტეს ყოველ მხარეს, განსაკუთრებით სპარსეთს, სადაც მღელვარება თანდათან მძვინვარე სახეს იღებს, ინგლისისა და რუსეთის ელჩებმა მიატოვეს ჰერონი, რომლის გუბერნატორმაც გულახდილად განუცხადა, პირობას ვერ მოგცემთ რომ დაგიფარავთ, უზრუნველსა გყოფთო. ელჩები ბენდერაბასისკენ გაემართნენ. ინგლისის კოლონია შირაზში კვლავ ტყვედ ჰყავთ მთებში მომწყვდეული გერმანელ აგიტატორს ვასმუსს. ინგლისელთა მეორე კალონიის შესახებ იეზდში აღარავითარი ცნობა არ მოსულა. მტრებმა არ იკმარეს მარტო ინგლისელთა კალონიების წინააღმდეგ გალაშქრება, აგრედვე დაიუფლეს ინგლისელთა ბანკები ისპაჰანში, შირაზში და იეზდში.

სულთან-აბადიდან იუწყებიან, რომ იქ ხანგრძლივი ტყვეობიდან გაანთავისუფლეს ინგლისელთა კალონია. ამაში ხელი შეუწყვია რუსთა ჯარების წინსვლის შიშ. ეს ეს არის ცნობა მოვიდა, რომ გენერალმა ბარათოვმა კავკასიის ჯარის შემწეობით აიღო ქამადანი. გენერალი ბარათოვი ხვალ აპირებს სადღესასწაულოდ დროშის აფრიალებას, რუსთა საელჩოს შენობის თავზე.

მოწინააღმდეგენი ხმებს ავრცელებენ ოსმალები და გერმანელები ბაღდადით და სპარსეთით ინდოეთისკენ ილაშქრებენო.

დღე და ღამით ოსმალ-გერმანელთა მომხრენი მოწოდებას აკრავდნენ ქუჩა-ქუჩა: ინგლისელ-რუსები ამოხოცეთ, სამხვთო ომი გამოვაცხადოთო. ასეთ მოწოდების რამდენიმე გამკვრელი უკვე დაიჭირეს.

პოლონეთის პარტიები.

კოპენჰაგენი, 2 ქრისტეშობისთვე. იტყობინებიან რომ განხეთქილება პოლონელთა ნაციონალ საბჭოს და პოლონელ კოლოს შორის მოისპო. 29 გიორგობისთვეს კრაკოვში მოხდა კრება ორივე ორგანიზაციეების, თავმჯდომარის ადგილი იავორსკიმ დაუთმო ბილინსკის, პოლონელთა სოციალ-დემოკრატები შევიდნენ კოლოში.

იტალეთის ფრონტი

ცეტინიე. 1 ქრისტეშობისთვეს მტერმა დაიწყო ხმარება ჩვენ წინააღმდეგ დიდი ყალიბის ზარბაზნებისა. შემდეგ მოიტანა მედგარი იერიში მთელ ფრონტზე, რომელიც იმყოფებოდა სანდჟავასთან, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ. ჩვენმა ჯარმა დიდი ზარალი მიაყენა მტერს. დანარჩენ ფრონტზე თოფის სროლა გრძელდება.

საფრანგეთის ფრონტი

პარიზი. სხვა და სხვა ადგილებში ხდება ჩვეულებრივი სროლაა განსაკუთრებით სროლა გაცხარდა არტუაში სომმას და დუაზის შუა. სენ მიშელის რაიონში ჩვენ დაუშინეთ ზარბაზნები გერმანელთა მფრინავ ჰაეროპლანებს. ერთი მათგანი დაზიანდა და დაეშვა მტრის ბანაკში. 13 ჰაეროპლანიდან შემდგარმა ესკადრამ 155, 90, 120 მილიმეტრიანი ყუმბარები ჩამოყარა გერმანელთა ავიაციის პარკში ჰინს ჰაიმში, რომელიც იმყოფება მულუზიდან აღმოსავლეთით. ყუმბარებმა მიზანს მიაღწიეს.

ჟურნალ-გაზეთებიდან

საბერძნეთის ნაბიჯი

„ბერლინერ ტაგებლატი" იტყობინება: საბერძნეთი ისეთს გარემოებაში ჩააყენეს, რომ იძულებული გახდა ინგლის-ფრანგების კორპუსისათვის დაეთმო ყველა რკინის გზები საბერძნეთის მაკედონიაში. ეს კორპუსი ისარგებლებს მხოლოდ სალონიკ-გევგელის ლიანდაგით კი არა, მონასტირისა და ოქჩილარისაკენ მიმავალ რკინის გზითაც.

„ბერლინერ ტაგებლატი" გადმოგვცემს: საბერძნეთის მთავრობამ მოკავშირეებს დასტური მისცა, დაუბრკოლებლათ ისარგებლონ ეგეის ზღვის სანაპიროების ნავთსადგურებით, მათ შორის კავალის ნავთსადგურითაც.

ამ ცნობების მიხედვით, უნდა ვიფიქროთ, რომ საბერძნეთს მოკავშირეთა ჯარის საასპარეზოდ დაუთმია მთელი საბერძნეთის მაკედონია. ამასთანავე მოკავშირეებმა პირობა დაუდეს საბერძნეთს, სალონიკის ოლქს მაშინვე დაგიბრუნებთ, რა წამს აღარ დაგვჭირდება და მოყენებულ ზარალსაც შესაფერად აგინაზღაურებთო.

გერმანელები მაგრდებიან

გერმანელები მდ. ბუგის მთელ ხაზზე ძლიერ სიმაგრეებს აშენებენ.

ბრესტ-ლიტოვსკთან გერმანელები 100.000 კაცს ამუშავებენ.

ბუგის მარჯვენა ნაპირსაც ამაგრებენ. აქ აკეთებენ თხრილებს, სანგრებს, ბლოკჰაუზებს, მძიმე ზარბაზნების დასადგმელად.

ამ ხაზის გამაგრებით გერმანელებს ჰსურთ მკვიდრი და საიმედო ზღუდე აღმართონ პოლონეთსა და რუსეთის შუა.

ბალკანეთში

დოირანის მხრივ წამოსულმა ბულგარეთის ჯარმა პირფჩის სიმაღლეებზე იერიში მიიტანა საფრანგეთ-ინგლისელთა ჯარზე. ბულგარელების მეორე ჯარმა კი შეუტია მოკავშირეების ჯარის მარჯვენა ფრთას დოირანის ჩრდილოეთით.

მცირე აზიაში

სტამბოლიდან ცნობაა: ამ ბოლო დროს დიდი მოძრაობაა ჯარებისა ჰაიდარ-ფაშას სადგურზე, სტამბოლის გაღმა აზიის ნაპირზე. ამ სადგურიდან გამუდმებით იგზავნება გერმანელი მუშები მცირე აზიაში. გერმანელებს განუზრახავთ სტრატეგიული რკინის გზებით დაქსელონ მცირე აზია, რომ კავკასიის ასპარეზზე მომქმედ ოსმალეთის ჯართან კავშირი სრულებით უზრუნველჰყონ.

გერმანელები ეგვიპტეში

ჰაიდარ-ფაშას სადგურიდან ამ დღეებში დიდძალი გერმანელი აფიცრობა გაიგზავნა ეგვიპტისაკენ. მათ დავალებული აქვთ ეგვიპტის მახლობლად მობინადრე არაბები ააჯანყონ. აფიცრებს თან გაატანეს დიდძალი იარაღი, ტყვია წამალი და სხვა სამხედრო მასალა.

ალბანელები

ახალ-ბაზრის სანჯაკში მოსახ
ნაუტები (ალბანელი მუს
ერთხმად მიემხრენ ავსტრო-
სერბეთის წინააღმდეგ საბრძ
როდესაც მიტროვიცაში ა
ლებმა ფეხი შედგეს, ჯარი
გენერალ კევეშს საგანგებო
ცია მიუგზავნეს და ერთგულებ
ფიცეს. კევეშმა დიდძალი იარაღ
პატრონები დაურიგა მათ.

სპარსეთში

ქამადანიდან სპარსელები წყება და წყებად იხიზნებიან. მოპირდაპირე ქამადანიდან 18 ვერსის მოშორებით ბანაკდება და მაგრდება კიდეც. სულთან-ადაბათში ახალი ჯარი მოვიდა. უმთავრესი ჯარი მურუჯირი, წავიდა ქურთისტანისაკენ მიმავალი გზის გადასაჭრელად.

რუმინეთ-სერბეთის საზღვარზე

ავსტრიელები რუმინეთ - სერბეთის საზღვარზე სანგრებს ათხრეინებენ ტყვეებს.

რ ი გ ა შ ი

რიგაში გასაგზავნი კერძო თუ შეკვეთილი დეპეშები რკინის გზით იგზავნება.

სიძვირე მინსკში

მინსკში გირვანქა ერბო-კარაქი მანეთ ნახევრად იყიდება.

საფრანგეთის ასპარეზზე

გაზეთი „Standard"-ი სწერს: გერმანელებმა დასავლეთის ასპარეზზე მაშველი ჯარები გადაიყვანეს. ეტყობა მდ. იზერზე ბრძოლას განაახლებენ. ამ გზით შეეცდებიან / კალესაკენ გაჭრას.

ელექტრონი სანგრებში

„Temps"-ი სწერს: საფრანგეთის ასპარეზზე გერმანელების სანგრები ელექტრონით არის განათებული.

ჯარების გადაყვანა

„Daily Tepms" სწერს: ამსტერდამიდან მიღებულ ცნობებით, ამ ბოლო

დროს გერმანელებს დიდძალი ჯარი გადაჰყავთ ჰანოვერიდან და კელნიდან ბელგეთში.

საბერძნეთის ბრძოლის ასპარეზად

დიპლომატთა წრეებში შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ საბერძნეთი ბრძოლის ასპარეზად გადიქცეს მოკავშირეთა და ავსტრო-გერმანეთ-ბულგარეთის ჯარის შორის, თუ საბერძნეთ-სერბეთის საზღვარზე შექმნილმა სტრატეგიულმა გარემოებამ ეს მოითხოვა.

მთაშავეთის საზღვრებთან

მთაშავეთის საზღვრებისაკენ უკან დახეულ სერბიელთა ჯარს მოპირდაპირეთა ფეხდაფეხ სდევენს. სერბიელების ჯარს ავსტრიელთა დიდძალი ჯარი აწვებოდა, რის გამოც მან ჯერ ბოსნიიდან დაიხია, ახალი ბაზრის სანჯაკი გაიარა და ახლა პლევლიეს უახლოვდება. ისე რომ ავსტრ-გერმანელები ორი მხრიდან აწვებიან სერბიელებს მთაშავეთის საზღვრებთან. სამხრეთის საზღვართან მათ აიღეს იპევი.

ავსტრეთ-იტალეთი

23 მაისს, როდესაც იტალეთმა ავსტრეთს ომი გამოუცხადა, იტალეთს 700 ათასი მეომარი ჰყოლია ავსტრეთის საზღვარზე. ავსტრეთს კი მხოლოდ 300 ათასი.

ვილჰელმი და ფრანც-იოსები

ამას წინად იმპერატორი ვილჰელმი მოულოდნელად ესტუმრა იმპერატორ ფრანც-იოსებს. „Daily Temps"-ის ცნობით მიზეზი ის ყოფილა, ვითომც ფრანც-იოსებს რომის პაპისათვის ეგრძნობინებინოს, სეპარატიულ ზავზე დავთანხმდებიო. იმპერატორმა ვილჰელმმა სწორედ ამის გამო ინახულა ფრანც-იოსები და გააფრთხილა, ასეთი წინდაუხედავი ნაბიჯი არ გადასდგაო.

ბალკანეთში

ბულგარელებმა აიღეს დოირანი და გევგელი.

საბერძნეთ-ბულგარეთი

კოპენჰაგენიდან მიღებულ ცნობებით, საბერძნეთი თავის მიწა-წყალზე ბულგარელებს არ გადაუშვებსო.

ზავის გარშემო

ბერლინის გაზეთებში ბევრი წერილები ისტამბება ზავის თაობაზე, ვოლფი, ანორაში, კაროლინი, აპონი დაბეჯითებით ამტკიცებენ, ტისსა და კანცლერი ავსტრო-უნგრეთისა და გერმანეთის პარლამენტებში გარკვეულად წამოაყენებენ უჟენქსიო ზავის საკითხს. ასეთი განცხადება საკმარისი იქნება მოკავშირეებისათვის, რომ ზავის თაობაზე უფრო გულმოდგინეთ დაილაპარაკონ.

შუშხუნა ფოტოგრაფი

გერმანელ ინჟენერს მაულს გამოუგონია შუშხუნა-ფოტოგრაფი. შუშხუნას ელექტრონის საშუალებით ისერიან. ჰაერში მას 8 წამის განმავლობაში აქვს ფოტოგრაფიული აპარატი 600 მეტრის სიმაღლეზე. შუშხუნა კარგა მანძილზე აშუქებს არე-მარეს. ამ დროს ფოტოგრაფი ერთ წუთის განმავლობაში გადიღებს მტრის პოზიციებს და ვერტიკალურად ეშვება ძირს. აპარატი საოცარ სისწორით იღებს ყოველისფერს. იგი ფრიად სუბუქი სახმარებელი იარაღია, ერთი ადგილიდან მეორეზე გადააქვთ. შედარებით ყველა ეს ისე სწრაფად ხდება, რომ მოწინააღმდეგე ვერასა ხდება, რაიმე ზომა მიიღოს მის გასანადგურებლად. გერმანელებს ამ ფოტოგრაფის საშუალებით თურმე ბევრჯელ უსარგებლიათ და კარგი ნაყოფიც მიუღიათ.

უკანასკნელი ფოსტა

გერმანეთი რუსეთიდან ოქროს ეზიდება.

სახელმწიფო სათათბიროს წევრმა ალექსანდროვმა განუცხადა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს, რომ ლენის ოქროს მრეწველთა ამხანაგობას ხაზინაში შეაქვს მცირე ნაწილი იმ ოქროსი, რომელსაც ეს ამხანაგობა იძენს. დანარჩენს კი ჰყიდიან გერმანეთის აგენტებზე, ჩინეთში.

ჯარში გაწვევის გადადება

1909, 1908, 1907 წლის ლურჯ ბილეთიანების ჯარში გაწვევა ქრისტეშობისთვის გასვლამდე გადაიდო.

კავკასიის ასპარეზზე ორი თვეა მოწინავე რაზმებს შეტაკება უხდებათ. ზოგჯერ მთელს ფრონტზე და ზოგიერთ ალაგას დიდი შეტაკებაც ჰხდება.

მცოდნე პირნი ამბობენ: იაკობშტატის მიდამოებში ბრძოლის გაცხოველება ახალ შემოტევის მომასწავებელი არ არისო. დვინის მიდამოებში მყუდროება ყინვებს, ან და სხვა რამ განსაკუთრებულ მდგომარეობას არ გამოუწვევიაო. ამ მყუდროებას დიდი კავშირი აქვს მთელს რუსეთის ფრონტზე გამოურკვეველ მდგომარეობასთანა დუბნო-როვნოს ხაზზე მოწინააღმდეგეს რუსის ჯარმა პოზიციიდან უკან დაახევინა.

დვინის რაიონში გერმანელები დიდ ბრძოლისთვის ემზადებიან. ყოველდღე მძიმე არტილერიას ეზიდებიან და ახალ-ახალი პოლკები მოდის.

გერმანეთის მთავრობის განკარგულებით დაპყრობილ პოლონეთში პოლონელ ხალხის წარმომადგენელთა კრება მოხდება, სადაც პოლონეთის საკითხს გაარჩევენ.

პურიშკევიჩი ჰკუაზე მოდის

პურიშკევიჩს უთქვამს: ამ ჟამად რომ შევადგინოთ რაიმე ჯგუფი და პარტიული ხასიათი მივსცეთ, პროვოკაცია იქნება და სხვა არაფერიო. მემარჯვენეთა ყრილობას არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევ და მას არავითარი გავლენაც არ ექნებაო. ყრილობას განზრახვა აქვს რევოლიუციას ებრძოლოს, მაგრამ სად არის ეს რევოლიუცია? ყრილობა პარტიული შეცდომა კი არა, სახელმწიფო დანაშაულია მემარჯვენეთა მიერ, რომელნიც ხალხს იცილეს, ხელს ჰკრავს მყვირალა სიტყვებითაო. ომის გათავების შემდეგ ყრილობა უნდა მოწვეულ იქმნეს არარსებულ რევოლიუციასთან საბრძოლველად, არამედ ყრილობა მემარჯვენეების შესაერთებლად, რათა მათ დადებითი პოლიტიკა აწარმოვონ და ჩემ მიერ ომში ნახულ საკითხებს პასუხი გასცენ, რომელიც წამოყენებულ იქნა რუსეთის გარეშე ერთაგანაო.

ნაციონალისტთა ფრაქცია მოწადინებულია, რაც შეიძლება სათათბირო მალე იქნას მოწვეული.

— გერმანელთა გაზეთების ცნობით გერმანეთი და ბულგარეთი საბერძნეთზე გასალაშქრებლად დიდ მზადებაში არისო.

— სოფიაში ცეპელინების სადგურები აუშენებიათ. ამ მოკლე ხანში ჰაერში დიდ ბრძოლას მოელიან.

ბრძოლის ველზე

ჯართა გარიგება სერბეთის ბრძოლის პირზე.

ბულგარეთმა საერთო მობილიზაცია 9 ენკენისთვეს გამოაცხადა, 17 ს გაათავა და სერბეთის საზღვარზე მოპირდაპირესთან წვრილ-წვრილი შეტაკება ოც ენკენისთვიდან გახშირდა. უკვე 28-ს კნიაჟევაცის მახლობლად სერბეთში შეიჭრა ბულგართა ორი დივიზია, ხოლო ვლასიონის მახლობლად ბულგართა ერთი დივიზია სერბეთს შეესია; ამ დღიდან მთელ აღმოსავლეთის საზღვრის გასწვრივ ბულგართა ჯარი საერთო შეტევას შეუდგა. 22 ენკენისთვეს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან გენერალი მაკენზენი გადმოუშვა; ამავე დროს გენერალი კევესი ავსტრიელებით ჩრდილო-დასავლეთიდან დაიძრა. სერბეთის საწინააღმდეგოდ სულ ცოტა შვიდას, რვაას ათასი ჯარისკაცი დაიძრა კამპანია ორ თვეში მოთავდა, სერბეთის ჯარი საბოლოოდ განადგურდა. ავსტრია-გერმანეთ-ბულგარეთის შემოტევის დროს სერბეთს ჰყავდა სულ დიდი 250 ათასი ჯარისკაცი. ორი თვის ბრძოლაში მან დაჰკარგა 150 ათასი მეომარი, ასი ათასი ტყვედ იქმნა წაყვანილი და 50 ათასი მოკლული თუ დაჭრილი.

ჯარის შევსების იმედი სერბეთის მთავარ შტაბს რასაკვირველი არ აქვს, ვინაიდგან მთელი ქვეყანა მტრებისაგან არის დაპყრობილი. სერბეთის გადარჩენილი ჯარი, დაახლოვებით ასი ათასი კაცი, სამხედრო ამუნიციას მოკლებული, მოკლებული საკვებს და ჩამოკონკილი, მოპირდაპირისაგან რამდენიმე ნაწილად გაპობილი, ალბანეთის და მთაშავეთის მიუვალ ღრეებში და უგზო-უკვლო ადგილებში შეიხიზნა. ამ შეხიზნული ჯარის ბედი ყოვლად უნუგეშოა, ჯერ ერთი იმიტომ რომ თვით ამ ქვეყნებს—არ აქვთ საკვები და სამხედრო მასალა. მთაშავეთს იმედი აქვს რომ იტალია და საფრანგეთ-ინგლისი მიაწვდის სარჩო-საბადებელს და სამხედრო მასალას; მეორეთ ისა რომ ალბანეთი მტრულად არის განწყობილი სერბეთისადმი და როგორც ცნობებია მოსული, აქტიურად შეებრძოლა კიდევაც; და მესამედ ისა რომ ავსტრია-უნგრეთის არმია განაგრძობს შეუპოვარ შეტევას და სერბებ-მთაშაველების კვალ და კვალ დევნას. რომელ ამ სამ გამანადგურებელს უნდა გადაურჩეს ისედაც დაუძლურებული და დაავადმყოფებული ნაფლეთები სერბეთის ჯარისა. ასეთ პირობებში, სერბიის სამხედრო ღირებულება არაფრად უნდა ჩაითვალოს. სერბეთზე, როგორც სამხედრო ძალაზე, ლაპარაკიც მეტია. სერბეთის ფრონტის განმგრძობად ჯერჯერობით საფრანგეთ-ინგლისის საექსპედიციო ჯარი უნდა ჩაითვალოს. ვნახოთ, თუ რა ღირებულებას წარმოადგენს ეს უკანასკნელი. ფრანგებმა პირველი დესანტი გადმოსხეს სოლუნში 19 ენკენისთვეს. მეორე დესანტი 12 სატრანსპორტო გემით 29 იმავე თვეს გადმოსხეს. ყოველ ეჭვს გარეშეა რომ ეს ჯარები გალიპოლის დესანტიდან იყო გამოყოფილი და არა საფრანგეთ-ინგლისის ტერიტორიიდან პირდაპირ აყვანილი. დღიდან პირველ დესანტისა დღემდე, მაშასადამე მთელი ორი თვის განმავლობაში, ფრანგებმა და ინგლისელებმა 117 ათასი ჯარისკაცი ჩამოიყვანეს სერბეთის მისაშველებლად. ამნაირად, სერბეთის პოზიციის დამცველია მარტო ეს ჯარი. ხოლო, თუ მართალია ფრანგების ცნობა, ამ ჯარს უნდა მიემატოს 40 ათასი სერბი ჯარისკაცი, რომლებიც მონასტირის დაცლის შემდეგ, ვითომც და უნდა მოკავშირეებთან შეერთებულიყვნენ; სულ, მაშასადამე, სერბეთ-ინგლის-საფრანგეთის კოალიციას დღეს ბრძოლის ველზე უდგას 157 ათასი ჯარისკაცი. ჩვენ ვიცით წინა დღეების დეპეშებიდან, რომ ეს ჯარი ვერ უმკლავდება მოპირდაპირეს, რომ იგი უკუ იხევს გამაგრებული, რომ მან დაუტევა სერბეთი და აგებს სიმაგრეებს სალონიკის გარშემო, რათა იქ ჰპოოს თავშესაფარი. რა ბედი უნდა მოელოდეს ამ ჯარს? გავითვალისწინოთ, თუ მტრის რაოდენ ძალასთან და რა გარემოებაში უხდება მას ბრძოლა.

საბერძნეთის ჩრდილო ფრონტზე სერბეთის ჯარის განადგურებისა და მთაშავეთ-ალბანეთისკენ მისი გარეკის შემდეგ, მაკენზენმა თვის ძალებს სხვა მიმართულება მისცა და სერბეთიდან სრულიად გაიყვანა, ნაწილი ბულგარეთში გაგზავნა და იქ რუშჩუკსა და სხვა ადგილებში დააბანაკა და ნაწილი კიდევა, თუ მოსული ცნობები სინამდვილეს არ ღალატობს, საეგვიპტოდ განამზადა და სტამბოლის გზას დააყენა. ავსტრიის ჯარი, როგორც ზევით მოვიხსენიეთ მთაშავეთ-ალბანეთში განაგრძობს ლაშქრობას. ასე რომ დღეს მოკავშირეთა საექსპედიციო ჯარის წინააღმდეგ ავსტრია-გერმანეთი თითქმის არც კი იბრძვის. ვამბობთ თითქმის,—რადგანაც, თუ ფრანგული ცნობები მართალია, მაშინ 20,000 ავსტრიელი და გერმანელი ჯარისკაცი უნდა იბრძოდეს ფრანგებისა და ინგლისელების წინააღმდეგ. ამგვარად, ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ უმთავრესად ბულგარეთის ჯარია გამოსული.

მიღებულ დამატებითი ცნობების მიხედვით, ბულგართა ჯარის მთავარსარდალმა ჟეკოვმა, ბულგარეთის ყოფილმა სამხედრო მინისტრმა, შეაერთა ტოდოროვისა და ბოიაჯევის არმიები, სულ რიცხვით 250—300 ათასამდე ჯარისკაცი ბულგართა ჯარის მარცხენა ფრთას ემატება ოსმალთა ძლიერი კორპუსი, ასე რომ მოკავშირეთა 157,000 ჯარისკაცის წინააღმდეგ გამოსულია სულ ცოტა 350,000 ჯარისკაცი! ამ ძალებს მოუხდება შეჯახება. დღევანდელს პოლიტიკურსა დ სტრატეგიულ ვითარებაში ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია საბერძნეთმა მოკავშირეებს რაიმე რეალი დახმარება აღმოუჩინოს. ეხლა ეს მეტის-მეტი ცხადია. პირიქით, სულ წინააღმდეგის ნიშნები მოსჩანს. რაც შეეხება იტალიას, ჯერ ოფიციალად არ შემოწმებულა ის ხმები, თითქოს მას ალბანეთში ჯარები გადმოესხას. რომ ამ ფაქტს ადგილი ჰქონოდა, მის ოფიციალ შემოწმებას უთუოდ გავიგონებდით. ეს ხმებიც რომ მართალიც იყოს, მაშინ ალბანეთის სრული უგზოობის გამო, იტალიის დესანტი, სულ ცოტა, ერთ თვეს მოანდომებს, ვიდრე მოკავშირეებს ადგილზე მიეშველებოდეს.

ამგვარად, პირისპირ დგას ერთის მხრით სულ ცოტა 350,000 ბულგარ-ოსმალ-გერმანელთა ჯარისკაცი და მეორეს მხრით, სულ ბევრი 157,000 ინგლისელ-ფრანგთა ჯარისკაცი. პირველი ჯარის ზურგი უზრუნველყოფილია, მრავალი საკომუნიკაციო გზა მოეპოვება და საჭიროების მიხედვით პირველ მოთხოვნისათანავე მაშველ ჯარებს მიიღებს, მეორე ჯარს თავისი ზურგი ახდილი აქვს, საკვებისა და საომარ მასალის ბაზა ცხრა მთას იქით ძევს და[illegible], სათანადო მაშველ[illegible] ვერ მიიღებს. ამგვარია მოპირდაპირე ჯართა დგომა და გარიგება. ასეთ პირობებში ჩაყენებულ მებრძოლთა შეჯახება იქნება უკანასკნელი აკორდი ბალკანეთის კომპანიისა. ამ შეჯახების შედეგი იმდენად ცხადია, რომ საფრანგეთის პრესის დიდი ნაწილი და მათ შორის კლემანსოს „L'homme libre"-ი მოითხოვს გემების მიშველებას და ფრანგთა საექსპედიციო ჯარის უკან წამოყვანას.

სპარსეთი.

სპარსეთში, მდგომარეობა გამორკვეულია. აშკარა მტრობა ჩამოვარდა სპარსეთსა და რუსეთ-ინგლისს შორის მართალია, მთავრობას და ახალგაზდა შაჰს საამისო ოფიციალი დეკრეტი არ გამოუციათ და მაშასადამე ოფიციალი სპარსეთი ისევ „ნეიტრალობას" ადგია, მაგრამ ფაქტიურად საქმე გადაწყვეტილია. სპარსეთის სასულიერო წოდება და ვაჭრობა, მთელი მდაბიო ხალხი და, რაც უმთავრესია, მეჯლისის მთელი დემოკრატიული ნაწილი ფაქტიურად აჯანყებულია და მოითხოვს მთავრობისგან რუსეთ-ინგლისის წინააღმდეგ ომის გამოცხადებას და სამხედრო მოქმედების დაწყებას. მთელი სამხრეთი სპარსეთი აჯანყებულთა ბანაკს წარმოადგენს, ინგლის-რუსეთის კონსულები კერმანიდან გაიქცენ სპარსეთის ყურესაკენ ბენდერ-აბასში. აჯანყებულებმა ინგლისის ბანკები დაიუფლეს ისპაჰანსა, იეზდსა და შირაზში.

გერმანეთ-ოსმალეთის მომხრე მთელი სამხრეთი სპარსეთი იმედ-მოცემულია, ოსმალთა ჯარების მრავლად ჩამოსვლით მესოპოტამიაში და ინგლისელების სასტიკი დამარცხებით ქტეზიფონთან და მათი სწრაფი დახევით ამ ადგილიდან. ამავე დროს რუსეთის ჯარმა ბარათოვის მეთაურობით ქამადანს მიატანა და შიგ შევიდა. თუ მხედველობაში მივიღებთ ოსმალთა განსაკუთრებულ მზადებას ბაღდადის რაიონში და მათი ჯარის სიმრავლეს, თუ სახეში მივიღებთ სპარსეთის მკვიდრთა აშკარა აჯანყებას რუსეთ-ინგლისელების წინააღმდეგ და თვით ინგლისელების უნუგეშო მდგომარეობას, რუსეთის ჯარის ასე შორს წასვლა და მტრის ქვეყნის შუაგულში დაუფიქრებლად შეჭრა, დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს, რომელსაც, შესაძლებელია, არა-სასურველი შედეგი მოჰყვეს.

რუსეთ-გერმანეთისა და კავკასიის ბრძოლის პირზე, თანახმად ოფიციალი ცნობისა, ცვლილება არ მომხდარა.

მეგრი.

ქართული მართლწერა

(რეზიუმე)

(დასასრული. იხ. „საქართ." № 159)

[illegible]ხმოვანების პრინციპი. [illegible] შემთხვევა რომ თანამედ-[illegible]ში მორფოლოგიურად [illegible]ლი ფორმა რამოდენი-[illegible]ხვდება; არის ისეთი შემ-[illegible] როცა მორფოლოგიურად [illegible] სრული ფორმა აღარც ერთს [illegible]ად კილოკავში ცოცხალი აღარაა [illegible] მისი ადგილი აქ ორზე მეტს, ფონეტიკურის გზით შეცვლილს, ახალ ფორმას დაუჭერია. პირველი გვარის მოვლენას ეკუთვნის ორი მრავლობითი რიცხვი ქართულის სახელებისა (არსებითისა, ზედსართავისა და ნაცვალსახელისა): კაცები და კაცნი, შენობები და შენობანი, შემეცნებები და შემეცნებანი და სხვანი. მეორე გვარის შემთხვევა ჩვენ გვაქვს ისეთს ფორმებში როგორიცაა მაგალითად: სახლიდ**გან**, სახლიდ**ან**, სახლიდ**ამ**, ნაცვლად მკვდარის მორფოლოგიურის ფორმისა „სახლით**გან**". ამგვარს შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია კეთილხმოვანების პრინციპს მივსდიოთ და ცოცხალ მორფოლოგიურ ფორმათაგან უპირატესობა მწერლობაში იმ ფორმას ვარგუნოთ ხოლმე, რომელიც ამა თუ იმ სიტყვისათვის ამა თუ იმ ფრაზაში უფრო კეთილხმოვანი აღმოჩნდება; მაგალითად, უეჭველია, იმ სიტყვებში, რომელთაც აქვსთ სუფიქსი „ობ" და „ებ" (შენ-ობ-ა, შემეცნ-ებ-ა), მრავლობითი რიცხვი მეორე დაბოლოვებით უფრო კეთილხმოვანი გამოდის: შენობანი, შენობათა, შენობანი, შემეცნებანი, შემეცნებათა, შემეცნებანო, ვინემ პირველის დაბოლოებით: შენობები, შენობების, შენობებს და სხვანი ან: შემეცნებები, შემეცნებების, შემეცნებებს და სხვანი. ამიტომ ფრიად მოსაწონია ის ჩინებული სალიტერატურო ტრადიცია რომლის ძალითაც თანამედროვე ქართულ მწერლობაში სახელთა მეორე მრავლობითს (ანუ ძველ მრავლობითს) საპატივო ადგილი აქვს დათმობილი თუმცა ცოცხალ კილოებში ეს მრავლობითი ძლიერ იშვიათი მოვლენაა. ამგვარადვე მოსაწონია ჩვენის პირველხარისხოვანის ახალი მწერლების ჩვეულებაც რომელნიც, ნაცვლად მკვდარის მორფოლოგიურის ფორმისა: სახლი**თგან**, სოფლი**თგან** და სხვათა ხმარობენ არა ფორმას: სახლი**დგან**, სოფლი**დგან** და მისთანათა, არამედ არჩევანი წმინდა ფონეტიკურს ნიადაგზე გადააქვსთ და აღნიშნული მკვდარი ფორმის ცოცხალ ფონეტიკურ ექვივალენტთაგან უპირატესობას აკუთვნებენ ფორმას: სახლი**დან**, სოფლი**დან** და სხვანი. ეს უკანასკნელი ფორმა კეთილხმოვანებით ბევრად აღემატება ფორმას „სახლი**დგან**, სოფლი**დგან**" და იმავე დროს არც ისე ძალიან დაშორებულია მორფოლოგურს პროტოტიპს როგორც ფორმა: „სახლი**დამ**, სოფლი**დამ**" და სხვანი.

8. სასინტაქსო-ლოღიკური პრინციპი. მაგრამ კეთილხმოვანების პრინციპს შორს არ უნდა გავსდიოთ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი ენა უპირველეს ყოვლისა აზრების გამომხატველი იარაღია და არა გრძნობათა დამატკბობელი სამუსიკო ინსტრუმენტი. ამისდა მიხედვით ენა იმდენად უფრო მაღლა დგას რამდენადაც ზედმიწევნით სისწორით და ნიშანდობლივ ხატავს აზრის ყოველგვარს მიხვრა-მოხვრას, ცნებათა შორის არსებულს დამოკიდებულებას. ამიტომ, თუ კი ენის მორფოლოგიაში მოიპოვება ისეთი ფორმები და ელემენტები რომელნიც აზრის ნიშანდობლივ გამოხატვას დიდად ხელს უწყობენ, ეს ელემენტები დაწერითაც უსათუოდ უნდა დაიწეროს თუნდაც ამით კეთილხმოვანებას კიდევაც ევნოს. ავიღოთ მაგალითად ორი ფრაზა:

ა) „ძველმა მეგობრებმა წერილი მოგწერ**ესთ**";

ბ) „ბრმა**სა** და ყრუ კაცს ადვილად ვერაფერს გააგებინებენ".

ეს ფრაზები ზოგიერთის გამოთქმაში ასე მოკლდება:

ა) „ძველმა მეგობრებმა წერილი მოგწერ**ეს**";

ბ) „ბრმა და ყრუ კაცს ადვილად ვერაფერს გააგებინებენ".

ცხადია—ამგვარად შეკვეცილი ეს ფრაზები სულ სხვა აზრის გამომხატველია, ვინემ პირვანდელის სახით: იქ პირველ ფრაზაში აშკარად სჩანდა რომ მეგობრების წერილი მეორე პირის მრავლობითი რიცხვისადმი ყოფილა მიმართული (თ = თქვენ), აქ კი —მხოლოობითი რიცხვისადმია მიმართული (შენ); მეორე ფრაზაში პირვანდელი სახით „ბრმასა და ყრუ კაცს" დამატება იყო, აქ კი „ბრმა და ყრუ" ქვემდებარედ იქცა, ხოლო „კაცს"—დამატებად. ამგვარს შემთხვევაში, რასაკვირველია, სჯობს—ენის კეთილხმოვანებას ყურადღება არ მიექცეს და აზრის ნათელსაყოფელად სრული მორფოლოგიური ფორმები დაიწეროს (ცხადია, ცოცხალი ფორმები ორი ძირითადი კილოკავის ფარგალში და არა მკვდარი ფორმები). საზოგადოდ ამ პრინციპის ძალით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ზმნების მაპიროვნებელი (სუბიექტიური და ობიექტიური) ელემენტების მართლწერას, როგორიცაა, მაგალითად, თავსართი **ვ** პირველი პირისათვის ზმნებში: **ვ**უკეთებ, **ვ**უგალობ, **ვ**უტრიალებ; თავსართი **ჰ** და **ს** მეორე პირისათვის: **ს**ჴრი, **ს**ჩაგრავ, **ჰ**ყვავი, **ჰ**კივი; ობიექტიური თავსართი (ე. ი. დამატების მაჩვენებელი ელემენტი) მესამე პირის ზმნები: **ს**ჩაგრავს, **ს**ტაცებს, **ჰ**გავს, **ჰ**კლავს და იმავე პირის მხოლოობითი რიცხვის სუბიექტიური საბოლოო ელემენტი (დაბოლოება)—**ს**: გიგალობ**ს**, გიგალობ**სთ**, გაძაგებ**ს**, გაძაგებ**სთ**; თუ დავსწერეთ: „გიგალობთ, გაძაგებთ" სულ სხვა აზრი გამოვა რადგან აქ სუბიექტი (ქვემდებარე) იქნება არა მესამე პირი მხოლოობითის რიცხვისა (ის) არამედ მრავლობითის რიცხვის პირველი პირი (ჩვენ).

ასეთია ჩვენი საორთოგრაფიო პრინციპები რომელნიც ისეთის თანდათანობით მისდევენ ერთმანეთს რომ ყოველი შემდეგი პრინციპი ერთგვარს დამატებას ან შეზღუდვას წარმოადგენს წინა პრინციპისას, ყველანი კი ერთად, ჩვენის ფიქრით, სრულიად საკმაონი არიან ქართული ორთოგრაფიის მოსაწესრიგებლად.

დასასრულ ორიოდე სიტყვა **უცხო სიტყვათა** მართლწერისა და **სასვენებელ ნიშანთა** ხმარების შესახებ.

უცხო სიტყვათა შემოტანის დროს ერთი მხრით ანგარიში უნდა გავუწიოთ ქართული ენის ფონეტიკას და მორფოლოგიას, მეორე მხრით უნდა ვეცადოთ—ამ სიტყვების ძირების მართლწერა მივუახლოვოთ მათს ფონეტიკურს სახეს (გამოთქმას) პირველ დედანში, საიდგანაც ეს სიტყვები სხვა კულტურულ ენებსაც გადმოუღიათ და შემდეგ ჩვენთვის გადმოუციათ. სწორედ ამიტომ უნდა ვსწეროთ: რეზიუმე, სიუჟეტი, ევოლუცია, ილიუზია, აგრეთვე: ბრომი, იოდი (და არა: ბრომუმი, იოდუმი) და სხვანი. მაგრამ, თუ სიტყვები დიდიხნის შემოტანილია ჩვენს ენაში და სრული მოქალაქობრივობა მოუპოვებიათ, ასეთი სიტყვები უმჯობესია აღარ შევსცვალოთ არამედ იმ სახით ვსწეროთ რა სახითაც ჩვენს ენაში შენახულან: მაზრა (სპარსული: მარზ), აფთიაქი, ანგ**ელოზი**, პოლი**ტიკური**, სოცია**ლური**, სერბ**ია**, ავსტრ**ია**, იტალ**ია**, (და არა: სერბეთი, ავსტრეთი, იტალეთი). ხოლო თუ უცხო სიტყვები ჩვენს მწერლობაში რამდენისამე სახით იხმარება მაშინ ამ უკანასკნელთაგან უპირატესობა უნდა მივსცეთ იმ სახეს რომელიც ფონეტიკურად უფრო ახლო დგას ამ სიტყვების პირველ დედანთან; ამიტომ უნდა ვსწეროთ:

სინ**თ**ეზი და არა სინ**ტ**ეზი,
რედა**ქ**ცია „ „ რედა**კ**ცია,
ჰიპო**თ**ეზა „ „ **ბ**იპო**ტ**ეზა,
ჰაინრიხ „ „ გენრიხ.

რაც შეეხება **სასვენებელ ნიშნებს**, ჩვენის ფიქრით, ურიგო არ იქნებოდა გამარტივებულიყო **მძიმის** (,) **ხმარების წესი**. სახელდობრ მძიმე საჭირო არაა იმ შემთხვევაში როცა მეზობელ წინადადებათა საზღვარზე უკვე ზის რომელიმე კავშირი ან მაკავშირებელი სიტყვა: და, თუ, რომ, მაგრამ, არამედ, ოღონდ, თუმცა, თუნდაც, ისე—როგორც (ან: როგორც—ისე), ის—ვინც, ის—რაც (ან: ვინც—ის, რაც—ის), რომელიც, სადაც და სხვანი. ამ სიტყვების როლი, როგორც მოგეხსენებათ, ასეთია: იგინი ერთი მხრით **გაჰყოფენ** (საზღვარს უდებენ) და მეორე მხრით **აკავშირებენ** (დამოკიდებულებას უჩვენებენ) იმ წინადადებებს რომელთ შორისაც სხდან; მძიმე კი (,) მუდამ გამყოფელია; ამიტომ სადაც წინადადებათა საზღვარზე უკვე ზის რომელიმე კავშირი ან საკავშირო სიტყვა, იქ მძიმის ხმარება ერთი მხრით **ზედმეტია** და მეორე მხრით სრულს **აბსურდს** წარმოადგენს. ამიტომ ასეთ შემთხვევაში მძიმე არც უნდა ვიხმაროთ. ხოლო თუ ასეთ ადგილას კავშირი ან საკავშირო სიტყვა გამოტოვებულია (მხოლოდ იგულისხმება) მაშინ იქ უმჯობესია დაისვას ტირე (—) და არა მძიმე.

აი მაგალითები:

მოდი და ვილაპარაკოთ! მოდი—ვილაპარაკოთ! უბრძანე **რომ** მოვიდეს! უბრძანე—მოვიდეს! საჭიროა **რომ** ითქვას; საჭიროა—ითქვას.

სანადიროდ წავალთ **თუ** ამინდი იქნება. მე **რომ** გითხარით **იმ** საქმისას რას მეტყვით? გუშინ **იმიტომ** ვერ გინახულეთ **რომ** ავად გახლდით. მწვადი **ისე** შესწვი **რომ** არც მწვადი დაიწვას და არც შამფური! ისე ტრიალობს **როგორც ჯარა. ვინც** მდიდარია **ის** ძლიერიცაა. უბედურია ის კაცი **რომელსაც სამშობლო არა აქვს.** მე არ ვიჯავრებ **ოღონდ** შენ იყავ ბედნიერი. მინდა—ბევრი რამ ვსთქვა **მაგრამ** პირი წყლითა მაქვს სავსე.

მაგრამ როცა დამოკიდებული წინადადება იმრიგადაა შეჭრილი მთავარ წინადადებაში რომ ამ უკანასკნელის ერთი ნაწილი დამოკიდებულის წინაა, მეორე—უკან მაშინ მძიმის ხმარება აუცილებელია, სახელდობრ მძიმეებით უნდა გამოყოფილ იქნას დამოკიდებული წინადადება მთავარის წინადადების ნაწილებისაგან:

„ის კაცი, რომელსაც სამშობლო არა აქვს, უბედურია"; „ის საქმე, მე რომ მოგახსენეთ, გადადებულია" და სხვანი.

საჭირო არაა—მძიმით გამოიყოს დამოკიდებული წინადადება რომელიც მიმღეობის შემწეობითაა შემოკლებული: ასეთი წინადადება აღარც წინადადებაა არამედ უბრალო დამოკიდებულ სიტყვას წარმოადგენს.

აი მაგალითი:

„ჩემ მიერ მოხსენებული საქმე გადადებულია".

დანარჩენ შემთხვევაში კი მძიმის ხმარების წესი ისეთივე დარჩება როგორიც საზოგადოდ მიღებულია.

უნდა გამარტივებულ იქნას ეგრეთ წოდებულის **ბრჭყალების** (« » ან „ ") ხმარების წესიც.

ამ ნიშანს, როგორც მოგეხსენებათ, სხვისი სიტყვების აღსანიშნავად ხმარობენ. ქართულ ენას სხვისი ნათქვამის გადმოსაცემად სამი ბოლო ნაწილაკი აქვს: **ო**, **თქო** და **მეთქი**. როდესაც ფრაზაში ეს ნაწილაკები უკვე ნახმარია მაშინ სრულიად საკმაოა სხვისი სიტყვების წინ ორწერტილი, სხვა ნიშანი კი საჭირო აღარაა:

მეფემ ბრძანა: ჯარი შეჰყარეთ**ო**.

გეუბნები: არ მომეკარო-**მეთქი**.

წადი და უთხარი: ნუღა შეწუხდები-**თქო**.

დანარჩენ შემთხვევაში კი ბრჭყალები იმ წესით უნდა ვიხმაროთ როგორც საზოგადოდ მიღებულია.

ს. გორგაძე.

თბილისი, 5 ქრისტეშობისთვე.

ყაჩაღობა და ძარცვა-გლეჯა. მოუშვა საზოგადოებრივი დისციპლინა, ნამეტურ სოფლად. ამის მიზეზი მრავლის უმრავლესია. მიზეზთა პირველი დასაბამი პიროვნების უკულტურობასა და გაუნათლებლობაში სძევს, რომლის ბრალი სავსებით ედება მას, ვისაც ხელთ უპყრია ქვეყნის მართვა-გამგებლობის სადავე. მეორე მიზეზი ისაა, რომ სოფლიდან გაყვანილია ჯანღონით სავსე ვაჟკაცობა, რომლის რიდი და შიში ჰქონდათ თითო-ოროლა თავზე-ხელაღებულ ბოროტმოქმედს. ქვეყანა დარჩენილია ქალებისა, ბავშვებისა და მოხუცებულების ამარა; მესამე მიზეზი ქვეყნის საერთო ეკონომიურ კრიზისში და მოუსავლობა-შიმშილში მდგომარეობს. მეოთხე—იმაში, რომ ასეთ პირობებშიაც კი შეზღუდულია ხალხის თვითმოქმედება, და თაოსნობა, რომ კულტუროსან ძალების გავლენა სოფელზე და საერთოდ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე თითქმის სრულიად გაბათილებულია მთავრობისაგან, რომელიც თავის მხრივ ვერ აუდის და ვერც შესძლებს საზოგადოების საჭიროებათა დაკმაყოფილებას და დისციპლინის გამტკიცებას დღევანდელს განსაკუთრებულ პირობებში. ყველა ამა და სხვა მრავალ მიზეზის გამო შეირყა საზოგადოებრივი ცხოვრების მშვიდობიანი მიმდინარეობის კანონი და თარეშმა მოქალაქობრივი უფლება მოიპოვა. უდანაშაულო, გაჭირვებული ხალხი იძარცვება მის წიაღიდანვე გამოსულ ქვეყნის არამზადებისაგან. კახეთიდან და გურია-სამეგრელოდან მოსულ წერილებს თითქმის ყოველ დღე მოაქვთ ყაჩაღთა თავდასხმისა, ფართე შარა-გზაზედ გამვლელ-გამომვლელთა გაფცქვნის და ხშირად მათი დაჭრა-მოკვლის ამბავი. სანიმუშოთ მოვიყვანთ გაზეთ „თანამედროვე აზრის“ 225 №-ში მოთავსებულ კორესპონდენციას.

„27 ნოემბერს დიდი უბედურება დატრიალდა ნოქალაქევში. აბანოების ახლოს, სადაც „დედა მოკაა“, დილა ადრიან ჩასაფრებულა რამოდენიმე შეიარაღებული ყაჩაღი. გამვლელ-გამომვლელი გაუჩერებიათ. ვისაც რამე ებადა აურთმევიათ. თითქმის ფეხსაცმლები და ქუდ-ჩაბალახიც კი გახადეს. ტანისამოსი, ფული, სარტყელი ცხენი, თუ სხვა რამეები ყველას ჩამოართვეს. გაძარცვის შემდეგ მგზავრებს თავდაღმა აწვენდენ. დილის შვიდ საათიდან საღამოს სამ საათამდე გაგრძელებულა ეს საშინელი სურათი. გაძარცულია სულ 250 კაცი, წაღებულია 7.000—8,000 მანეთამდე ფულად, საქონელი კი გაცილებით მეტი ღირებულების. გაძარცულთა შორის რამდენიმე მღვდელია. ამათთვის ჯვარებიც კი წაურთმევიათ. საღამოზე ეს აყარებელი ხილხი ტანისამოს გახდილი ჩამოვიდა მთიდან და მოაწყდა ნოქალაქევს.“

დღევანდელ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილია კორესპონდენცია გარე-კახეთში მომხდარ ძარცვა-მკვლელობის შესახებ.

ჩვენდა ღრმა სამწუხაროდ ეს ობოლი მაგალითები არ არის. ასეთმა ურცხვმა თარეშმა და ავაზაკობამ მასიური ხასიათი მიიღო. ყოველთვის დასაგმობი და დამღუპველი, დღეს ათასჯერ უფრო დასაგმობია და დამღუპველი ჩვენი ცხოვრების ამ უკუღმართი ნიმუშების გამოცხადება. არ ვიცით, თუ რა მხრიდან მოელის ჩვენს ქვეყანას წალეკვა და ხიფათი, რომელი უცხო და გარეშე ძალა რას განუმზადებს მას, არ ვიცით მუშა ხელისაგან დაცლილი ქვეყანა, რომელზედაც ბუნებასაც თავისი რისხვა წელს არ მოუკლია, შიმშილით სიკვდილს გადაურჩება თუ არა, და ამავე დროს შიგ, თვით ხალხის გულში, რღვევისა, განადგურებისა და ზნეობრივ გახრწნის დასაწყისი შემოიღეს ქვეყნის უგუნურმა ბოროტმოქმედებმა. ამ ავაზაკობის წარმომშობ მთავარ მიზეზების მოსპობას, ცხადია, საზოგადოება ვერ დაუცდის.

ამისთვის საჭიროა მთელი თაობათა აღზრდა. მისაღებია ფიცხელი ზომები. უპირველეს ყოვლისა უნდა ფართე ინიციატივა მიეცეს კულტუროსან, ინტელიგენტურ ძალებს რომ ხალხში გავიდეს, გასწიოს შესაფერი პროპაგანდა, ჩააგონოს ქვეყანას დღევანდელი მომენტის სერიოზული ხასიათი და შექმნას ერთგვარი კოლექტიური ზნეობის სიმტკიცე ყოველ სოფლის საზოგადოებაში, რომელსაც ძალა-უნებურად დაექვემდებარებიან ზოგიერთი თავ-აშვებულები. საჭიროა ლუკმა პურის შოვნის იმედი მიეცეს ხალხს, საჭიროა სამუშაო გაუჩინოთ და შესაფერი სამეურნეო იარაღი მივაწოდოთ, საჭიროა მჭიდრო თანამშრომლობა საზოგადოების ყველა კატეგორიისა, საჭიროა თანამშრომლობა თვით საზოგადოებისა და მთავრობის.

ყველა ეს უნდა მოხდეს სწრაფად, დაუყონებლივ. ანარქია უნდა აღიგვას პირველ გამოჩენისთანავე, თორემ მერე გვიანი იქნება! ქვეყანა განსაცდელს უნდა გადავარჩინოთ!

ახალი ამბავი

◆ **ქართველ მოღვაწეთა აგარაკი.** რუსეთიდან თბილისს დაბრუნდა ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების მიერ დაარსებულ სააგარაკო კომისიის თავმჯდომარე ი. ს. ლორთქიფანიძე, რომელსაც რუსეთის სხვა და სხვა ქალაქში მოუწყვია ქართველ მოღვაწეთა აგარაკის გასამართად, თავისუფალ შემოწირულებათა მოგროვების საქმე და შესაფერი საკვიტანციო წიგნაკები დაურიგებია სხვა და სხვა პირთათვის.

◆ **ახალი სკოლების გამგე.** საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ არსენ წითლიძე მოიწვია, აჭარაში გასახსნელ სკოლების საქმეთა მოსაწესრიგებლად.

◆ **სამოსამართლო დაწესებულებათა წევრთა გადაყვანა.** თანახმად უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა საბჭოს დებულებისა ამა წლის 19 გიორგობისთვეს სამოსამართლო დაწესებულებათა წევრთა გადაყვანის შესახებ საომარ ადგილებიდან სხვა ადგილებში იუსტიციის სამინისტროსაგან გამოგზავნილნი არიან ტფილისის სამოსამართლო პალატაში, მინსკის საოლქო სასამართლოს თავჯდომარის ამხანაგი ბ-ნი ტიმლიაკი და წევრნი საოლქო სასამართლოებისა პეტროკოვისა ბ-ნი ლუტონინი ხოლო კელეცისა ბ-ნი ორენოვსკი.

◆ **ყალბი ფულის მჭრელი.** თანახმად თბილისის გუბერნატორის მიერ მიღებული ცნობისა სურამში ადგილობრივ მოვაჭრე გიორგი სადაღოვს აღმოსჩენია ყალბი ფულის საჭრელი მანქანები ერთ მანეთიან და აბაზიან-შაურიანისა. აგრეთვე რამდენიმე ყალბი ქაღალდის ფული. სადაღოვი და მისი ამხანაგი სარდიონ გველცაძე დაპატიმრებული არიან.

◆ **ტუსაღთა გზავნის შემცირება.** თბილისის საოლქო სასამართლომ მოწერილობა მიიღო იუსტიციის სამინისტროს პირველ დეპარტამენტისაგან, რათა ომის გამო სასამართლოს უწყების ყველა დაწესებულებათა და პირთაგან ზომები იქნეს მიღებული, შესამცირებლად ტუსაღთა გადაყვანისა ერთი ადგილიდან მეორეში.

◆ **ცხვარი.** როგორც გადმოგვცა შირაქიდან ჩამოსულმა ხევსურმა, ეხლანდელი ამინდი საუკეთესოა ცხვრისათვის. შირაქსა, ელდარსა და საერთოთ ქიზიყში თბილი ამინდია და მშვენიერი ბალახი, რაიცა დიდად ხელის შემწყობია ცხვრის გაღონიერებისათვის.

◆ **რედაქციამ მიიღო** ჟურნ. „სასოფლო გაზეთი“-ს მე-19 ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია წერილები მევენახეობის, ღვინის დამზადების და ბუნებასთან ბრძოლის შესახებ. საერთოდ ჟურნალი შინაარსიანად არის შედგენილი.

◆ **ნათესები გარე კახეთში.** როგორც ჩამოსულებმა გვიამბეს, გასულ შემოდგომაზე ცოტა მინდვრები მოიხნა უამინდობის გამო. შემდეგ ბევრი ნახნავი დაუთეს-დაუფარცხავი დარჩა, იმავე ცუდი ამინდების წყალობით. ეხლა კიდევ, ამ მშრალობის დროს, ბევრი მინდვრის თავი გაჩნდა, რაიცა მუსრის გავლებას უქადის ნათესებს.

◆ **კახეთის გზაზე.** თელავის მაზრის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა თბილისის გუბერნატორის წინაშე ილდოქანის და ახმეტის. საფოსტო სადგურებთან ეტლებისა და ცხენების რიცხვის გადიდების შესახებ, ვინაიდან კახეთის გზით მოძრაობის მომატების გამო მგზავრებს 5—6 საათით ლოდინი უხდებათ სადგურებზე.

◆ **სამოსელი აჭარელთათვის.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებასთან შემდგარმა ქალთა კომიტეტმა, რომელშიაც წევრებად შედიან კნ. ნ. მ. აბხაზი, ნ. ვ. გაბაშვილისა, ან. მ. წერეთლისა, დ. ე. ერისთავისა, ნ. ი. ნაკაშიძე, ე. მ. გაბაშვილისა, ე. ნ. მესხისა, ნ. ბ. ყიფიანისა და ე. ი. ჭიჭინაძისა, დაადგინა, რომ ომიანობისაგან დაზარალებულ აჭარელთათვის ერთი ნაწილი ტანისაცმლისა, საცვლებისა და ლოგინისა უნდა დამზადდეს აქვე თბილისში, ხოლო დანარჩენი ნაწილი უნდა შეიკეროს ადგილობრივ აჭარაში, საცა შეკერვაზე უშველიან ადგილობრივი აჭარელი ქალები. კომიტეტის წევრები აპირებენ ამ საქმისათვის აჭარაში გამგზავრებას საჭირო ტანისაცმლისა, საცვლებისა და ლოგინების შესაძენად ნანგარიშევია 167,360 მან. ამ თანხას ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარი გამგეობა სთხოვს კავკასიაში გადმოხვეწილთა დამხმარე მთავარ რწმუნებულს.

◆ პეტროგრადში 2 ქრისტეშობისთვეს **გარდაიცვალა** სასახლის სეფექალი **თ-ვად ივანე ჯამბაკურ-ორბელიანის ასული სოფიო.**

◆ **მომხმარებელ საზოგადოების ბიურო.** 14 გიორგობისთვეს სამტრედიაში გაიხსნა მთელი დასავლეთ საქართველოს მომხმარებელ საზოგადოებათა ბიურო, რომელშიაც ჯერ-ჯერობით ჩაწერილია წევრად 46 საზოგადოება. ბიუროს საწყობები აქვს: სამტრედიასა, ხონსა, ქუთაისსა, ჭიათურასა, საჩინოსა, სენაკსა, ფოთსა, ლანჩხუთსა, ჩოხატაურსა, ოზურგეთსა და სუფსაში. კიდევ აპირებს გახსნას საწყობები ყველა იმ ადგილებში, საცა ამას საჭიროება მოითხოვს. მოქმედება დაიწყო ბიურომ 25 გიორგობისთვეს. ჯერ-ჯერობით მოაწყო ნავთის საქმე. ნავს იღებს პირდაპირ სამტრედიაში და აწვდის მომხმარებელ საზოგადოებებს 55—65 კაპ. ნაკლებ დღეს არსებულ ფასებზე. ბიუროს შეძენილი აქვს ჩრდილო კავკასიაში 300.000 ფუთი სიმინდი და თუ ვაგონებს იშოვის, დღესვე შეუდგება გადმოზიდვას. ბიუროს დავალებული აქვს შეიძინოს მთელი გუბერნიის მომხმარებელ საზოგადოებათათვის ქარხნებში დამზადებული საქონელი პარტიობით პირველი ხელიდან.

ბიურო სთხოვს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ-გამგეობას: 1) დაეხმაროს მას ვაგონების შოვნაში; 2) მთავრობა თუ თითონ შეიძენს სურსათს საქართველოსათვის, ამ სურსათის განაწილება დასავლეთ საქართველოში მიენდოს ბიუროს; 3) თუ საქველმოქმედო საზოგადოება მთავრობისაგან აიღებს უპროცენტოდ სესხს, ამ ფულიდან სურსათის შეძენა დასავლეთ საქართველოსათვის მოხდეს ბიუროსთან შეთანხმებით, ხოლო თვით სურსათის განაწილება მიენდოს ქუთაისის გუბერნიაში ბიუროს.

◆ **ქაღალდის შეძენა.** ქ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოების გამგეობამ შეიძინა საკმაო ქაღალდი სახელმძღვანელოების დასაბეჭდად.

ქუთაისი.

13 ქრისტეშობისთვეს ქუთაისში მოხდება ქუთაისისა რაჭისა და ლეჩხუმის წვრილი კრედიტის ამხანაგობათა **სამაზრო ბიუროების კრება.** საგუბერნიო ბიუროს ასარჩევათ. ამ კრებაზე აგრეთვე მოწვეული იქნება საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენლები.

— კლასიკურ გიმნაზიასთან არსებულ **მშობელთა წრეს** განზრახვა აქვს ხსენებული გიმნაზიის ყოფილ დირექტორს ფ. მ. კოტილევსკის გაუმართოს ფსონი და მიართვან ძვირფასი საჩუქარი. ასეთივე განზრახვა აქვთ კლასიკური გიმნაზიის უფროსი კლასის მოწაფეებსაც.

ილიასეულ მამულის გარშემო

ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ 3 ქრისტეშობისთვეს დაადგინა: აცნობოს ქ. შ. წ.-კ. გ. საზ. გამგეობას, რომ საბჭომ ერთხმად გადასწყვიტა ან იჯარით აიღოს, ან სყიდვით შეიძინოს ილია ჭავჭავაძისეული მამული საგურამოში. ხოლო რადგან ამისათვის საბჭოს სჭირდება რწმუნების მიღება საზოგადო კრებისაგან, რომელიც დანიშნულია 13 ამა თვეს, ე. ი. კვირით გვიან წ.-კითხვის საზოგადოების კრებაზე, ამისათვის საბჭო სთხოვს წ.-კ. საზ. გამგეობას გადასდოს განხილვა საკითხისა საგურამოს მამულის შესახებ საზოგადო კრებაზე, ვიდრე საბჭო მიიღებდეს ნებართვას საზოგადოებისაგან, რომელიც უეჭველად დაადასტურებს საბჭოს დადგენილებას.

საგულისხმო კრება

მოვაგონებთ პატივცემულ მკითხველებს, რომ დღეს საღამოს 8 საათზე დეპუტატების საკრებულოში (ბელინსკის ქ. № 2) მოხდება **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების** ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც განგრძობილ იქნება კამათი ს. გორგაძის მოხსენების გამო **ქართული მართლწერის შესახებ.** ბ-ნ გორგაძის მოხსენება შემოკლებით დაბეჭდილია „საქართველოს“ გუშინდელ და დღევანდელ ნომერში. კრებას გარეშე პირთაც შეუძლიათ დაესწრონ. სასურველია კამათში მონაწილეობა მიიღონ ქართული ენის მცოდნე პირებმა, განსაკუთრებით ჩვენმა პედაგოგებმა და ჟურნალ-გაზეთების თანამშრომლებმა.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოება

საზოგადოების გამგეობამ 3 ქრისტეშობისთვეს დაადგინა: 1) გაეგზავნოს 500 მანეთი ზესტაფონის განყოფილებას საზოგადო ქველმოქმედებისათვის; 2) გაეგზავნოს ახალციხისა და ახალქალაქის განყოფილებებს თითოს 2,000 მანეთი გადმოხვეწილთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; 3) გაიხსნას სკოლა-თავშესაფარი ახალციხესა, ახალქალაქსა, ბათომსა და სოხუმში და ამ საქმის შესახებ მოეთხოვოს დაწვრილებითი ცნობები ადგილობრივ განყოფილებებს; 4) დაინიშნოს ამბულატორიის ფერშლად ქედაში ანტონ მელია; 5) გაიხსნას სამტრედიაში საზოგადოების განყოფილება; 6) გადაეცეს საზოგადოების სასურსათო კომისიას 10.000 მანეთი სურსათის შესაძენ ორგანიზაციის მოსაწყობად.

ყაჩაღობა გარე კახეთში

გასულ გიორგობისთვეში საზიზღარი მკვლელობა მოხდა სოფ. გიორგიწმინდის დაშორებით 3—4 ვერსზე. გიორგიწმინდის მცხოვრებს ალექსი ჭიჭინაშვილს შეღამებისას თავს დაესხნენ მისსავე ბინაზე შეიარაღებული უცნობი პირნი და თოფით მოჰკლეს. შემდეგ გაირეკეს მისი 120 სული ცხვარი და გზას გაუდგნენ. მამასთან იყო იმ დროს მისი ორი მცირეწლოვანი შვილი, რომელნიც ფარეხში მიიმალნენ. ერთი ავაზაკთაგანი კაი ხანს სდარაჯობდა მათ, გარედ არ გამოვიდნენ და არავის დაუძახონ საშველად. დილა ადრიან ეს ბავშვები სოფელში გაიქცნენ და მამასახლისს ამბავი მიუტანეს. მამასახლისი წავიდა მკვლელ-მძარცველების საძებნელად, მაგრამ ვერავინ იპოვნა და უკანვე დაბრუნდა.

ხმა დადის, რომ ეს ბრბო ყაჩაღებისა საგარეჯოს მახლობლად დათარეშობს და თავისს მსხვერპლს ათვალიერებსო. გიორგობისთვის უკანასკნელ რიცხვებში თავს დაესხა საგარეჯოს სადგურის მახლობლად თივის მოვაჭრე ბ-ნს შართავას და სროლა აუტეხა, მაგრამ ვერა წაართვა-რა.

ხალხი ძალიან დაშინებულია, მით უფრო, რომ არავის არავითარი იარაღი არ მოეპოვება. საკვირველია, რატომ ადგილობრივმა პოლიციამ აქამდე ვერ მიაგნო ყაჩაღებს!

ლ.

გაუგებრობაა თორემ მორიგდებიან

(პრესის მაგიერ)

ცნობილი პუბლიცისტი ანი გაზეთ „თანამედრვე აზრის“ ფურცლებზე არჩევს თავისი პარტიული ამხანაგის, ანჩინის წიგნაკს, რომელიც საქართველოს ეროვნულ პრობლემას არკვევს. ბ-ნი ანჩინი, წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატების პარტიულ დადგენილებისა, გამოდის ეროვნულ-ტერიტორიული პრინციპის მომხრედ. ბ-ნი ანი ამ შეხედულებას არ იზიარებს და იმეორებს არა-ერთჯელ მისგანვე მოყვანილ მოსაზრებათ და საბუთებს. ბ-ნ ანს ჯერაც არ გაუთავებია ამ წიგნის გარჩევა და მის ავტორის დებულებების განხილვა. „სახალხო ფურცლის“ მეპრესე საქმეში ჩაერია და ღვარძლიანის კილოთი შეეკამათა ბ-ნ ანს. მეპრესეს მოყავს ან-ის წერილიდან შემდეგი ადგილი:

„მე ვამტკიცებდი სტატისტიკით, რომ საქართველო მეტად აჭრელებულია ნაციონალურად, გარდა იმერეთისა; თბილისის გუბერნიაში ქართველობა უმცირესობაა, საზოგადოდ კი მთელ საქართველოში ქართველები შეიცავენ 51,8 პროცენტს“.

და თავის მხრით დასძენს.

„თავიდან ბოლომდე ეს ცნობა სიყალბეა, სიყალბე, რომელიც გასაგები თუა ოფიციალურ წრეებში, სრულიად გაუგებარია, როდესაც ქართველი მწერლისაგან გვესმის. საქართველო ერთ მთლიან ეთნოგრაფიულ ერთეულს შეადგენს, იგი ერთნაირი ხასიათის, ერთნაირი კულტურის მატარებელი ხალხითაა დასახლებული, ზოგიერთ შემთხვევაში „აჭრელებულიც“ რომ იყოს, როგორც ეს ბ-ნ ანსა ჰგონია.

„რა აზრი აქვს ამ ყალბი ცნობების გავრცელებას, ვერ გაგვიგია. რად უნდა, რომ საქართველო მაინცა და მაინც „აჭრელებული“ იყოს, როდესა ფაქტიურად ის აჭრელებული არ არის, ვერც ეს გაგვიგია“.

ჩვენის აზრით, გაუგებრობის ნაყოფია რომ „სახალხო ფურცელი“ „თანამედროვე აზრთან“ კამათობს ამ საკითხის გარშემო. ბატონი ანი იმაში „სცდება“, რომ საქართველო თავის ბუნებრივ ტერიტორიულ საზღვრებში წარმოუდგენია და მცხოვრებთა ეთნოგრაფიულ სტატისტიკას ამ საზღვრების ფარგალში იხილავს და ამბობს აბა რა ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიაზე შეიძლება ლაპარაკი იქ, სადაც 48,2 პროცენტი არა ქართველიაო. „სახალხო ფურც.“ ამაში არ ეთანხმება და ეს იმტომ რომ მან საქართველოს მიწა-წყალს ჩამოსჭრა სამი დიდი მაზრა, ახალქალაქისა, ახალციხისა და ბორჩალოსი და სხვებს დაურიგა. მის მიერ მიღებულ და თავისებურად გაგებულ რეალ მოსახლეობის პრინციპის მიხედვით, იმედია იგი ქალაქ თბილისსაც ამოსჭრის საქართველოს შუა გულიდან, რადგანაც აქ სომხობა ქართველებზედ ერთი ორად მეტია, ასევე უნდა მოიქცეს თბილისის და გორის მაზრებში და როდესაც „სახ. ფურცელი“ თავის პარტიის პროგრამის თხზვაში ამ ჩამოთლის პროცესს ასრულებს მას რჩება ეთნოგრაფიული განწმენდილი საქართველო, სადაც მარტო ქართველები იქნებიან მოსახლეებად. რა უყოთ რომ მთელი აღმოსავლეთი საქართველო, როგორც ტერიტორია და საკუთრება დაეკარგება ჩვენს სამშობლოს. ამგვარად „სახალხო ფურცელს“, როდესაც სოციალ-დემოკრატებს ეკამათება, ასეთი შეკუმშული საქართველო აქვს წარმოდგენილი. ბ-ნი ანი გონიერი კაცია, ფაქტიური სინამდვილის დიდი პატივისმცემელი და „სახალხო ფურცლის“ მიერ შემოსაზღვრულ საქართველოში ის უთუოდ აღიარებს ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას. საჭიროა ოღონდ „სასალხო ფურცელმა“ გაბედულად და კატეგორიულის დადასტურებით აუწყოს ჯერ ანს და მერე ქართველთა ქვეყანას თავისი პროგრამა და მომავალი საქართველოს ტერიტორია. რამდენი ჩხუბი და უსიამოვნება მოისპობა! პირველად ანი „თანამედროვე აზრითურთ“ და იმ-ამ-მეგობარი-შინაური „სახალხო ფურცელ“-„მეგობარითურთ“ ზავს ჩამოაგდებენ და ჩვენს ქვეყანას ეღირსება მშვიდობიანი აყვავება. თქვენ გვყავდეთ არხეინად და აღმოსავლეთ საქართველოს—თქვენი ჭირი და სომეხთა ლხინი!

გაუგებრობაა, თორემ მორიგდებიან, ერთმანეთისა რომ გაიგონ, უთუოდ მორიგდებიან.

ოიდიპოს მეფე

(დასასრული)

რაც შეეხება **ბ. იმედაშვილის** ედიპს, უნდა გამოვტყდე და ვთქვა, რომ ფრიად სასიამოვნოდ გამაკვირვა. იმის შემდეგ რაც მისი ოტელო ვნახე სრულებით არ მოველოდი ისეთ შესრულებასაც-კი ამ მთავარ და მაღალ როლისა, როგორიც მან ჩვენ გვაჩვენა. მასთანავე საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო მისი დეფექტები. იმედაშვილი—ოიდიპოს სწრაფად და სხლარტად გამოდის დარბაზიდან ბრბოს ხმაურობაზედ. შველივით გამოსული, უცბათ დარბაისულ პოზას და გამომეტყველებას იღებს. დაიხსომეთ. იმედაშვილმა იცის რისთვის მოვიდა მასთან ხალხი, მან კრეონი თავისი ცოლის ძმა უკვე გაგზავნა ღმერთებთან საკითხავათ, თუ რით შეეძლო მას თვისი ერის ხსნა საშინელ უბედურებისაგან. მაშ რაღათ დასჭირდა ასე მარდათ გამოსვლა; გაუკვირდა, რომ ხალხი მასთან მოვიდა? კეთილი. მაშ თუ გაუკვირდა, სადღა გაჰქრა შემდეგ ეს მისი განცვიფრება? რასაკვირველია აქ შეცდომაა. დიდი მხატრული და ფსიხოლოგიური სიმართლეა, როდესაც ედიპი გამოსვლის შემდეგ ხელმწიფურ დარბაისლობით ბრბოს წინაშე გაჩერდა. აქ სულ უბრალო განძრევაც სხეულისა მეტია და საშიშოც კია. იგი მეფეა და, მასთანვე მძლავრი, ჭკვიანი, მასვე სწამს, რომ იხსნის თავის ხალხს განსაცდელისაგან, ასვე საჭირო იყო, რომ გამოსულიყო მედიდურად, მძიმეთ, ნელა და შეურხევლად. მით უმეტეს, რომ მას ორი მეჩირალდნე წინ მოუძღვის.

ამ გვარი სკულპტურული სიმშვიდე ედიპს რჩება ტერეზისთან შეხვედრამდის მხოლოდ შემდეგში, და უფრო-კი მაშინ, როდესაც ტერეზი მთელ უბედურებას უხატავს, ედიპი სწრაფლ იცვლება და მთელი მისი სხეული საშინლად ამოძრავდება.

გოფმენსტალს აქაც აქვს შეტანილი ცვლილება. ედიპი იმის შემდეგ, როდესაც ტერეზი მას მკვლელს და დედის საწოლის შემგინებელს უწოდებს, საშინლად ჰკივის, ერთ ორ საფეხურს ჩამორბის და სკიპტრას ულერებს.

ესიკოვსკის ცირკში, რასაკვირველია, არაფერი ამგვარი არა იყო-რა. იმედაშვილი—ოიდიპი ზომიერობით მისდევდა დიალოგს და მის ცვალებადობას სრულებით ადგილი არ ჰქონია.

თვითონ ტერეზია ხოროს შეერია. იმედაშვილი—ოიდიპი, მაღლა დარბაზთან იდგა. რასაკვირველია, მხატვრული სურათი[illegible] საჭირო იყო ტერეზი თ[illegible]გან უფრო მოშორებით, ე. ი. ცალკე და აგრეთვე ედიპთან უფრო ახლოს გაჩერებულიყო.

იმედაშვილი—ოიდიპი კრეონთან უფრო სუსტი გამოდგა. მრავალჯერ ადგილის შეცვლა, კრეონთან თანაბარი ტონით დიალოგის გატარება ვერაფერს შთაბეჭდილებას ახდენდა. სცენა თვით უფრო გადიხლართა და აირია იოკასტის გამოსვლის შემდეგ. მთავარმა ფიგურამ იმედაშვილ-ოიდიპმა პირველი ფორმა ვერ შექმნა და ამის გამო ნამდვილი მხატვრული-პლასტიკური განაწილება გაბათილდა. იმედაშვილ-ოიდიპი კრეონის გამოსვლის შემდეგ კარებიდან ოდნავწინ იდგა, კრეონთან საუბრის რამოდენიმე ხნის შემდეგ მან ალაგი იცვალა მარჯვნივ.თანაც მაღლიდანდაბლა ჩამოვიდა და კრეონთან ერთი ხაზი დაიჭირა. იოკასტას შემოსვლამ სურათი უფრო არია. უკანასკნელი ოიდიპთან მივიდა და ყველანი ამ გვარად ერთ წრედ გაჩერდნენ. ნამდვილად კი იმედაშვილს-ოიდიპს ალაგი რო შეენახა, კრეონი რამოდენიმე საფეხურით ალაგს დაბლა დაიჭერდა, იოკასტა კიდევ მათ შუა გაინაწილებდა მიდამოს. ამ რიგად ერთფეროვანობა მოისპობოდა.

ასეთივე სურათი განმეორდა მწყემსების ერთმანეთის ჩვენების დროს. ლაიოს მწყემსი უფრო დაბლა უნდა მდგარიყო, ვიდრე მოსული, იმედაშვილს-ოიდიპოს ფრიად კარგი ადგილი ექნებოდა მოქმედებისათვის.

იმედაშვილის ყვირილი მძლავრი გულ შემზარი იყო პირველად, თავში. ჭეშმარიტად მან გამოიცნო, რომ აქ უბრალო ღრიალს ადგილი არ ჰქონდა. გაბმული და მომღერი, მასთანვე ხანდისხან ყელში ხრიალით. აქ საუცხოვო იყო იმედაშვილი. მთელი მისი არსება საშინელი წარმოუდგენელი წუხილი იყო ამ დროს.

იმედაშვილს თავიდანვე რომ მაღალი ხმით არ დაეწყო თავისი როლი, უფრო მეტ შთაბეჭდილებას მოახდენდა აქ, ტრაგედიის უმთავრეს მომენტის დროს.

თვალებ დათხრილი იმედაშვილი-ოიდიპოს მიყუჩებული გამოდის და სტირის როდესაც საფეხურზედ იქცევა. ამით მან პავოსი გაახელა. ნამდვილად კი ოიდიპოს თვით დარბაზშივე ჰკივის, შემდეგ კივილითვე გამოდის გარეთ, უსხლტება ფეხი კიბეზედ, რამდენიმე საფეხურს ჩამოგორდება და მხოლოდ აქ იწყობო ჩუმათ გვრინვას.

აქ თავდება ერთი ოიდიპოს; მას შემდეგ ოიდიპოს უკვე სხვაგვარია; ახლა უკვე ბედისგან მკვდარი და დავარდნილია. გულჩათუთქული, ტანჯვის შვილი მობუზულია, წელში მოხრილი. მაო მხოლოდ კიბიდან ჩამოაცილებენ და მარტოდ-მარტო ჯოხზე ბჯენით მიდის ქალაქიდან.

ყოველ მსახიობს მთელი გეგმა მომქმედ პირისა ჩასახული უნდა ჰქონდეს ყურადღების ფოკუსში და მხოლოდ აქედან უნდა დაკვირვებით ჰქონდეს სკულპტურულ ჩონჩხზედ იმ ადამიანს, რომლის მდგომარეობას სცენაზედ განიცდის. მასთანვე მსახიობის ფიზიკური არსება საშინლად უნდა ემორჩილებოდეს მის სულიერს „მე“-ს. ეს „მე“ მსახიობისა ყოველთვის ფხიზელი დარაჯი უნდა იყვეს სცენაზედ. მან არასოდეს არ უნდა დაივიწყოს, რომ თამაშობს მისი ფორმა. მისი გარეგნული არსება და ამიტომ ყოველთვის წინ უნდა უძღოდეს.

აი სწორედ აქ კოჭლობს ბ. იმედაშვილი. რასაკვირველია, ბრალი მას ამაში არ უძევს. ჩვენ ვერ გავზარდეთ როგორც მსახიობი და არც ნება გვაქვს ბევრი მოვთხოვოთ. ბუნებით კი ეტყობა ნიჭი და უნარიც თან დაყოლილი ბევრი აქვს. ისიც შესაძლებელია, რომ თვითონ იმედაშვილმა არც კი იცოდეს, თუ რა ალაგს დაიჭერდა ჩვენს სცენაზედ, სკოლა რომ გაევლო.

განა მარტო იმედაშვილი, თითქმის ყველანი, გუშინწინ, ესიკოვსკის ცირკში, უცბათ ჰქმნიდნენ თავიანთ როლებს. არც ერთ მათგანს არ ეტყობოდა შესისხორცება ადრევე დასახულ მომქმედ პიროვნებასთან. ყველანი ერთგვარი, ერთის თვისებით და დაკვირვებით თამაშობდნენ.

ბ. იოხნელი პირველად ვნახე სცენაზედ. ბევრი კარგი გამიგია მასზედ, მაგრამ შემიძლიან ისიც გავბედო და ვაღიარო, რომ ბევრი მგონი, ვერც მიმხვდარა, თუ რა საგანგებო მსახიობია იგი. მე თითქმის არაფერს ვიტყვიდი მის ტერეზიაზედ. არ გამიწყრება თუ ვაღვიარებ, რომ იგი ძალიან სუსტობდა, მაგრამ უკანასკნელ სცენაში ოიდიპოსთან იმდენი მხატვრული და ფსიხოლოგიური დაკვირვება გვიჩვენა, ისე დაუახლოვდა ნამდვილ ტერეზიას, რომ უფრო ცოტა მეტის შრომის შემდეგ და მასთანვე ხელსაყრელ პირო-

ბეზში ფრიად დიდს და მხატრულ პიროვნებას შეჰქმნის.

თავდაპირველად რეჩიტატივი მისი უფერული იყო. ესეც დეკლამაციამ განიტაცა. მოხუცი ხანგრძლივი, ვით თვით ჟამი, იგი წინასწარმეტყველია. ყოველივე მისი ხმა და მოძრაობა არა ქვეყნურია. მოისმის ტერეზი შორს, საიდგანღაც ვით განგება, მისი სიტყვები ქვესკნელიდან ამოძახილი ხმას წაავავს.

ამაყი, მასთანვე საშინელი მრისხანეა, როდესაც მას ოდიპოს შეურაცყოფს. აქ იშხნელმა მეტათ კარგი რეჩიტატივით ისარგებლა. იმ დროს, როდესაც იშხნელი—ტერეზია ოიდიპოსს მომავალ უბედურობას უმჟღავნებს, ერთ ალაგს არ უნდა შეჩერებულიყო. ბრმას უნდა ეცადა კიბეზედ ასვლა და აქ თოთხა. ასევე, როდესაც უკანვე ბრუნდებოდა მეტი მოძრაობა იყო მისთვის საჭირო. უნდა კიბეზედ ასულიყო ერთი-ორი საფეხურით და აქ დაეთავებინა თავისი სიტყვა.

იოკასტა—ქიქოძე ძალიან ნაკლებათ იყო სოფოკლისი. იოკასტას დედოფლური დარბაისლობა მას საგრძნობლად აკლდა. ქ-ნი ქიქოძე ელინთა პლასტიკასაც ვერ იცნობს. მკლავების აშვერის დროს მაჯებს ათამაშებს. პლასტიკური ფიგურაცია ქ-ნმა ქიქოძემ სრულებით ვერ შეინარჩუნა. მართალია, ეტყობა რომ ქ-ნი ქიქოძე ძალიანი ფხიზელი და მოძრავი მსახიობია. მუყაითი და გამუდმებითი შრომით იგი უსათუოთ კარგა წინ წაიწევს და საპატიო ალაგსაც დაიკავებს ჩვენს სცენაზედ.

კრეონი—მგალობლიშვილი ძალიან ახალგაზდა იყო. ნამდვილათ კი წლოვანობით გაცილებით დიდია ოიდიპოსზედ. თვითონ, როგორც მსახიობს, სცენაზეც დაუდევრობა ეტყობა. იგი ძალიან ხელ გაშლილია. მის მოძრაობას და გამომეტყველობას სალი, გარკვეული ფორმები აკლია. სცენისათვის ეს ადამიანი ძალიან საჭიროა. ეტყობა მთელი მისი არსება რბილია და მასთანვე ნოყიერი. ადვილია მისი მოქნა, სკულპტურის ფარგალში ჩამოყალიბება. მისი კრეონი დაულაგებელი გამოვიდა. ვერ შესამჩნევი რეჩიტატივი ეპოვა.

ძალიან კოჭლობდა ხორო. მისი დანიშნულება სულ სხვაა ანტიურ ტრაგედიაში. იგი უპირველესად მოწინავე, აქტივი ბრბოა. ყოველ ცვალებადობას პასუხსა სცემს არა მარტო სიტყვით, არამედ ხანდისხან მოქმედებითაც. ხოროს ერთ ხაზზედ გამწკრივება შეცდომაა. ხორო უნდა განცალკევდეს, გაიყვეს ორ ჯგუფად. მასთანვე ისე კი, რომ ერთმანეთთან დაშორებული არ იყვნენ. მთელი მისი მოძრაობა ერთსულოვანია, როგორც ერთ პიროვნებისა. თანაც ნელი და ზარმაცი. რასაც თვით ბრბო გრძნობს და ფიქრობს, ხორო გარეგნულ ფორმებში სახავს. ესიკოვსკის ცირკში კი ხოროს ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია, არ განძრეულა. რეჩიტატივი მისი უგემური, გაუგებარი და მასთან ჩვენთვის უცხო იყო.

მინდა წერილი გავათავო იმითვე, რითაც დავიწყე. იმ გვარ პირობებში, როგორშიაც ჩვენი მსახიობნი იყვნენ ესიკოვსკის ცირკში, სერიოზულად არაფრის შექმნა არ შეიძლება.

ნახულმა საკმაოდ დაგვაფიქრა.

ვინ იცის რის გაკეთება არ შეიძლებოდა ამ ხალხთან ერთად, რომ ჩვენ ცოტა მეტი ყურადღებით და პატივის ცემით ვეპყრობოდეთ. თვითონ მათთვის კი საჭიროა დაუღალავი შრომა და შრომა. ბევრი მათგანი საუცხოვო, მაგრამ მასთანვე დაუმუშავებელ მასალას წარმოადგენს.

ალექსანდრე ახმეტელი.

პროვინციის ქრონიკა

სოხუმი.

სოხუმის ქალაქის მოურავს თ. თავდგირიძეს ქუთაისის გუბერნატორისგან დეპეშა მოუვიდა, სადაც ატყობინებს: სოხუმის თხოვნა, შესახებ 20 დესეტინა მამულის დათმობისა სამკურნალო მიზნისთვის შეწყნარებულიაო.

ბ ა ქ ო.

ამ დღეებში „ფენიმენი"-ს თეატრში გაიმართება კინემატოგრაფიული სეანსი, რომლის შემოსავალიც გადაიდება საქართველოში ომისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

— ნავთის მრეწველთა საბჭომ 30 ათასი მანეთი გადასდო მებრძოლ ჯარისკაცთა საზობაო საჩუქრებისათვის.

ს. გაწლეთი (ქართლი).

ამ სოფლის მცხოვრებმა გრ. სხირტლაძემ ცეცხლი წაუკიდა თავის სასიმინდეს, ბეღელს და მარანს, სადაც ენახებოდა წლის საზრდო, მიზეზი ასეთ მოქმედებისა არავინ იცის.

ს. ალექსანდრეს წყარო (ქართლი).

ადგილობრივ გლეხს ქ. თედეშვილს ამას წინად საბალახოდან კამეჩი მოჰპარეს, რამდენიმე დღის, შემდეგ პატრონმა თავის კამეჩის ლეში იპოვა მინდვრად, როგორც გამოირკვა, ბოროტმოქმედთ, მხოლოდ კამეჩის ტყავი სჭირვებიათ.

ჩოხატაური.

აქ გამოჩდნენ ზოგიერთა პირები, რომელნიც მეურმეთა არტელს ადგენენ, ბათომიდან პოზიციამდე ჯარისთვის სამხედრო მასალის მისაზიდავათ. მცოდნე პირთა აზრით საეჭვოა ხსენებულ პირთა სიგულწრფელე სოფლელებისადმი და ამიტომ ურჩევთ, არ მოსტყუვდნენ.

სოფ. ბია.

საზოგადოების კრებაზე გადასწყდა სადავო საკითხი სკოლის ადგილის არჩევისა. სკოლას შუაგულ სოფელში ააგებენ.

ქ. სოჩა.

აქ შესდგა სცენის მოყვარეთა წრე, წრე იმოქმედებს ქ. შ. წ.-კ. გ. ს. განყოფილებასთან თანხმობით ამ დღეებში წარმოადგინა ირეთელის 5 მოქ. პიესა. „დამარცხებულნი" რომლის შემოსავალიც გადაიდება გამოქცეულთა სასარგებლოდ.

სოფ. ბუკნარი (გურია).

გაიხსნა საკოოპერაციო საზოგადოება, დღემდის წევრებად 125 კაცი ჩაეწერა, ხალხი ახალ დაწესებულებას დიდის ნდომით და სიყვარულით ეკიდება.

ს. ზენი (სამეგრელო).

ამ ბოლო ხანს მეტად გახშირდა სამეგრელოში ყაჩაღთა თავაშვებული თარეში. ღამე არ გაივლის ისე, რომ რომელიმე მოსახლეს თავს არ დაესხან და არ ააწიოკონ.

— ამას წინად ს. ზენში ოთხი შეიარაღებული დაეცა გლეხს ბეს. გოგენიას და მოსთხოვა ფული. გოგენიაც მაგრად დაუხვდა და სროლით უპასუხა, ყაჩაღები გაიქცნენ. ამბობენ გოგენიას ერთი მათგანი დაუჭრიაო.

დ. ხ ო ბ ი.

შეიარაღებული დარაჯნი დაედევნენ მოთარეშე ყაჩაღთა ბრბოს სოფ. ხორგაში, მათ მიმალვა მოახერხეს, პოლიციამ შეიპყრო ის მცხოვრები, ვისაც ყაჩაღები ჰბინადრობდნენ.

მემარჯვენეთა ყრილობა

„ვინც რა უნდა სთქვასო, წისქვილმა კი ფქვასო", ეს ანდაზა სწორედ ზედ გამოჭრილია რუსეთის მემარჯვენეებზედ. არც სამშობლოს განსაცდელი, არც მტრის სიახლოვე მათ სრულებით არ აინტერესებთ. სხედან და გულდასმით, ერთი კალმის მოსმით სთხზავენ სამარცხვინო პროექტებს; რუსეთის უბედურებაც სწორედ ისაა, რომ მათ მაღალ სახელმწიფო დაწესებულებებში ბევრი ყურს უგდებს და ანგარიშსაც უწევს. აი, მაგ. რა დაადგინა მემარჯვენეთა ყრილობამ, რომელიც მოხდა ქ. მაკარიაში (ნიჟნი-ნოვგოროდში).

პოლიტიკური საკითხები

1. სახელმწიფო საბჭოს და სათათბიროს წევრები, რომლებიც პროგრესიულ ბლოკში შევიდნენ, დაუყოვნებლივ უნდა მისცენ სამართალში, როგორც არსებულ წესწყობილების დამხობის შეთქმულობის მომწყობნი.

2. ყველა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტები გაუქმდეს.

3. მთავრობამ სასტიკი მეთვალყურეობა უნდა გაუწიოს სრულიად რუსეთის ქალაქთა და ერობათა კავშირების მოქმედებას.

განათლების საქმე

1. ყრილობა წარუდგენს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ყველა იმ მასალას, რომელიც შეეხება სახალხო განათლების მინისტრის იგნატიევის მოქმედებას, მოითხოვს, რომ შეიცვალოს სახალხო განათლების სამინისტროს ახლანდელი მიმართულება.

2. გაუქმდეს უმაღლეს სასწავლებლის ავტონომია.

3. დაუყოვნებლივ გაუქმდეს იგნატიევის ცირკულიარი, რომელიც ებრაელებს დაბალ და საშუალო სასწავლებელში შესვლის უფლებას ანიჭებს.

4. დაუყოვნებლივ გაუქმდეს მშობელთა წრეები ყოველ სასწავლებელთან.

5. კლასიდან კლასში გადასავლელი გამოცდა კვლავ დარჩეს.

6. გაძლიერდეს სკოლის გარეშე მეთვალყურეობა.

7. დაუყოვნებლივ განიდევნონ ყველა სასწავლებლებიდან ებრაელები.

8. სავაჟო გემნაზიაში დაუყოვნებლივ შემოღებული იქმნას სამხედრო ვარჯიშობა.

სახელმწიფო სათათბიროს შესახებ ყრილობამ დაადგინა, დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქმნეს იმ შემთხვევაში, თუ იგი კვლავ სარევოლიუციო გზას დაადგება.

რუსეთი

ყრილობების აკრძალვა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ხვოსტოვმა ნება არ დართო, მომხდარიყო მოსკოვში არც ერთი საზოგადო ყრილობა. ასეთმა განკარგულებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია რუსეთის საზოგადოებაში. როგორც ახლა მინისტრის განმარტებიდან სჩანს, იგი თურმე წინააღმდეგია ყრილობისა მხოლოდ ქ. მოსკოვში. ამ დედაქალაქში,—მინისტრის აზრით პოლიტიკური ატმოსფერა ისეთია, რომ შესაძლოა სხვა და სხვა მოულოდნელი რამ მოხდეს. მოსკოვს გარეითად, მინისტრი თანახმაა გაიმართოს ყრილობები, ყველგან.

ქალების უფლებათა გაფართოვება.

ფინლანდიის სეიმმა შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგინა პროექტი, სახელმწიფო სამსახურში ქალების მიღების შესახებ. მართალია ეს პროექტი დიდს არაფერს წარმოადგენს; ქალებს ეძლევათ მხოლოდ დაბალი ადგილები სახელმწიფო სამსახურში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საგულისმოა როგორც ერთი ნაბიჯი. სახელმწიფომ, ეტყობა აზრი იცვალა ქალების მდგომარეობაზე და ახლა ნება დართო მათ სახელმწიფო მართვა გამგეობაში მონაწილეობა მიიღონ.

რკინის გზის მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესობა.

გზათა მინისტრის ტრეპოვის განკარგულებით შესდგა კომისია ტუგანბარანოვსკის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალა სასწრაფოდ განიხილოს რკინის გზის მოსამსახურეთა მდგომარეობა, შეადგინოს პროექტი—ჯამაგირების მომატებისა და წარუდგინოს უმაღლეს მთავრობას განსახილველად.

ვიტტეს გულახდილობა.

„ისტორ. ვესტ."-კის უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია გლინსკის წერილი. ამ წერილში დაწვრილებით გადმოცემულია ბაასი ცნობილ ვიტესთან 17 ღვინობისთვის მანიფესტის შესახებ. ვიტეს უთქვამს: გული ვერავის მოუგე, ვერც მოწინააღმდეგეებს და ვერც იმ მეგობრებს, რომლების შემწეობითაც უმაღლეს სახელმწიფო საფეხურამდის მივაღწიე. მართლა დანაშაული რამ მიმიძღვის თუ არა, არ ვიცი, ეს ისტორიის საქმეა. მხოლოდ ერთს კი ვიტყვი, მე გავაკეთე ის, რის გაკეთებაც კი შემეძლო და დავალებულიც მქონდა. მართალია, პირადად არ ვიყავ მომხრე ამ მანიფესტისა. მე ვფიქრობდი თანდათანობით გამეტარებინა საკანონმდებლო დაწესებულებაში ყველა ის ძირითადი მუხლები, რომლებიც მანიფესტში იყო აღნუსხული; მაშინ უეჭველია რუსეთში არეულობას ადგილი აღარ ექნებოდა. მანიფესტი ძალათ მომახვიეს თავზედ და როგორც ერთგული ქვეშევრდომი ვალდებული ვიყავი სისრულეში მომეყვანა. მე რომ ყველა ის მასალა რაც მაშინ ხელთა მქონდა შემენახა და ახლა გამომექვეყნებინა, ბევრი დარწმუნდებოდა, თუ რა აურზაური და არეულობა სუფევდა იმათ შორის, ვინც ეს მანიფესტი წარმომიდგინეს ხელის მოსაწერად. ბოლოს თვით ეს პირნი ჩემს მოწინააღმდეგე ბანაკში გადავიდნენ. სწორედ ესენი პირველნი იღებდნენ ყოველგვარ ზომებს, რომ მანიფესტი გაებათილებინათ.

სხვა და სხვა ამბები

ძველებური ფულების პოვნა.

გიუჯევანის (ბაქოს გუბ.) საუფლისწულო მამულში სედრაკა გაჯიანცმა მიწის თხრის დროს იპოვა მოზდილი მიწაში ჩაფლული ქილა. ქილაში 180 ცალი ძველებური სპილენძის და ვერცხლის ფული აღმოჩნდა თათრულის წარწერით. ნაპოვნი ქილა ბაქოს გუბერნატორს გადასცეს.

სატუსაღოთა მართველობამ სამართლიანად სცნო ციხეებში მოსამსახურეთ ჯამაგირის მომატება.

ბაქოს ქალაქის უფროსს მეფის ნაცვალმა წინადადება მისცა, დაუყოვნებლივ შეადგინოს გეგმა ქ. ბაქოსა და იმ ადგილსა, სადაც საოლქო სასამართლოს ახალი შენობა უნდა ააგონ.

მგზავრის შენიშვნები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ოსმალთა განათლება.

ისეთი სოფელი აღარ გადამრჩა, რომ ახლოდ არ გავცნობოდი იქ მცხოვრებ ოსმალ-ქურთებს. უნდა მოგახსენოთ, რომ არა მგონია კულტურულად ისე ჩამორჩენილნი იყოს ვინმე, როგორც არიან ოსმალ-ქურთები. მათთვის არ არსებობს არც სკოლა, არც სამკითხველო და თეატრი ხომ გაგონითაც არ გაუგონიათ. გარეგნულად ოსმალნი დარბაისელი ხალხი და წყნარი მოლაპარაკენი არიან, თუ რაიმე საზოგადო საკითხს შეეხებით, მათ პასუხის მოცემა არ ძალუძთ.

თქვენ წარმოიდგინეთ, იქამდის ჩამორჩენა, რომ უბრალო თუთუნის „მაშინკით" პაპიროსის გაკეთება ახალი და საოცარი გამოდგა. ოცამდის კაცი შემომეხვია და გაკვირვებულნი, თავის ქნევით მიყურებდნენ. მერე გამომართვეს და სათითაოდ გაშინჯეს. მთელი სოფელი რომ დაიაროთ, მათში ერთს ვერ ჰპოვებთ სამშობლო ენაზედ წერა-კითხვის მცოდნეს; თუ იცის ისიც მოლამ, რომელიც იგივე უბირია, მხოლოდ ცოტა წერა-კითხვა უსწავლია და მოლობას ჩემობს.*) თუმცა ეს სამოთხი წელია ზოგიერთ სოფელში პირველ-დაწყებითი რუსული სკოლებია გახსნილი, მაგრამ ძალიან ცოტანი აძლევენ შვილებს, „შვილი სკოლაში რომ გავზარდოთ სახლს აღარ გამოადგებაო". აი, მათი აზრი სწავლის შესახებ, თუმცა ჩვენი გლეხიც წინეთ ასე გაიძახოდა, მაგრ. საბედნიეროდ დღეს ეს აზრი დავიწყებას მისცეს.—ქალის სწავლება ხომ ცოდვათა-ცოდვაა ოსმალ გლეხისთვის—აი, რა მითხრა ერთმა ხალიფამ სათათრეთში მოგზაურობის დროს, რაც აღნიშნული მქონდა 1912 წ. „სახალხო ფურცელში."—„ქალებს, რომ ვასწავლოთ, მაშინ ჩადრს მოიგლეჯენ და გარყვნილების მორევში შეცურდებიანო"—ამავე აზრს ადგანან აქაური ოსმალნიც.—ეს კი ნაყოფია მოლა-ხოჯების „ფანატიზმისა"—ჩემის აზრით ოსმალ-გლეხთა ასეთ სიბნელის მორევში ცურვის მიზეზნი მაჰმადიანთა ინტელიგენტები არიან, რომელნიც ქართველებისავით ჩამსხდარან ბაქოში, განჯაში და სხ. ქალაქებში და იქიდან გაჰკივიან—„დროა მაჰმადიანთა გამოღვიძება და მათი კულტურულ საფეხურზე დაყენებაო"—ცარიელი ყვირილი არავითარ მიზანს არ მიაღწევს, საჭიროა ფართო მასაში დატრიალება, მაჰმადიანთა წერა-კითხვის გამ. საზ., „ნაშრი მუარიფი", რომელიც აგერ 18 წელია არსებობს, რას აკეთებდა?

ნუთუ მათი სამოქმედო ასპარეზი მარტო ქალაქებია?

ეხლა როგორც გადმოგცეს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებას განუზრახავს გახსნას ზოგიერთა სოფლებში სკოლები.

ზამთარი და ოსმალთა გასაჭირი

— რა ვქნა მკითხველო, რომ მხატვრული ნიჭი არ შემწევს, აგიწეროთ მთლიანად ის სურათი შიმშილისა, რომელსაც დღეს განიცდის ოსმალო გლეხი... უნდა ნახოთ თქვენი თვალით, რომ მაშინ დარწმუნდეთ და იგრძნოს გულმა. ვის არ გაუგონია ყარსის, სარაყამიშის ზამთარი, როცა 40° 41° სიცივეა ხოლმე. დღეს გულით რომ გინდოდეთ ერთ სახლს ვერ ნახავთ, რომ დანგრეული არ იყოს, სოფელში შედიხართ, გგონიათ ჟამთა ვითარებისას აქ სოფელი ყოფილაო და მიუტოვებიათო, მაგრამ შეხვალთ ნანგრევში და ნახავთ მცხოვრებს, სრულიად შიშველი დედაკაცები, ტიტველი ბავშვები, შიმშილით თვალებ ჩაცვივნულნი. გადამდები სენით შეპყრობილნი ძირს დედამიწაზედ ხუთი და ექვსი წვანან. არსად ცეცხლი, არ აქვთ ნავთი, პური, ჩაი შაქარი და სხ.,-მათი თვალები შესვლისთანვე საბრალოდ დაგიწყებს ცქერას, ბავშვი რაღასაც ელის შენგან... ქალი თუ კაცი ცრემლებით დაგიწყებენ ხვეწნას.-და მოგმართავენ ოსმალურად:

ბატონო, მშივრები ვართ, ტიტველნი, ვკვდებით შიმშილით დაგვეხმარეთ...

— ხშირად ასეთი შემთხვევის შემდეგ ველარ გამიძლია და შეუწუხებული გარედ გამოვსულვარ და მიფიქრია.

— სისულელეა. სისულელე. ჩემი ექიმბაშობა და წამალი... პური, პური. აი უმთავრესი გამკურნავი საშუალება დაძაბუნებულ გლეხისა... აქვე აღვნიშნავ, რომ ბაქოს მუსულმანთა საზოგადოება ყოველ მხრივ ცდილობს დახმარება გაუწიოს დარბეულ ოსმალ გლეხებს, რისთვისაც ჰხსნის მასაზდოებელ პუნქტებს, არიგებს პურს, შაქარს, ტანისამოსს და სხ., მაგრამ რას გასწვდება ასი-ათასობით დამშეულთ ერთი საზოგადოება თუ მაჰმადიანთა ფართო მასამ მონაწილეობა არ მიიღო?...

ვანო ხ—შვილი.

---

*) მოლად შეუძლიან იყვეს თავის ნებით ყველა ის, ვინც „შარიათის" სამღვთო რჯული იცის. ავტ.

მაჰმადიანთა ცხოვრება

ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებას ორი ვაგონი დაუთმეს სათბილობლებისა და სხვა საჭირო მასალების გასაგზავნად ყარს-ბათომის ოლქში ომისგან დაზარალებულთათვის.

— ბაქოში ბალახანის და სტანისლავის ქუჩაზე ამ ჟამად დიდ მეჩეთს აშენებენ.

— ხ. ცორაევს ნება დართეს კავკავში მოაწყოს კერძო კურსები, სადაც შეისწავლიან თანამედროვე მაჰმადიანურ და ევროპის ლიტერატურას და სღვთისმეტყველო საგნებს.

— ბაქოში აპირებენ დრო გამოშვებით შემოწირულებანი აგროვონ ომის გამოისობით დაზარალებულ ღარიბეს მცხოვრებთათვის დასარიგებლად. პირველი შემოწირულება ამ მიზნით უკვე გაიმართა ამას წინად. თავიანთ წვლილს ყველა ხალისით იძლეოდა.

— მაჰმადიანურ გაზეთების მოთხოვნილება ბაქოსა და სხვა ადგილებში თანდათან იზრდება.

— აჭარაში გაგზავნილი ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებული ამ დღეებში მოხსენებას წამოუდგენს ხსენებულ საზოგადოებას.

— ამ ჟამად ბაქოში სწარმოებს ბაქოს და მის გუბერნიის ნავთის მრეწველთა მე-34 თათბირი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ნავთის მრეწველი მაჰმადიანებიც.

— მაჰმადიანურ გამოცემებმა მოუხშირეს ამ ბოლო დროს გათვითცნობიერების და ბავშვების ეროვნულ ნიადაგზე აღზრდის შესახებ წერას.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა") წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
>
> Liebesgaben für die
> russischen Kriegsgefangenen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse,
№ 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond
Russe pour les prisonnier de
guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія Заказное
> Suisse. Recommandée
> Comité International de la
> Rouge.
> Agence des prisonniers de
> guerre Genéve.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან. . 12 ს. 54 წ. დღ.
№ 4 ბათომიდან. 5 ს. 55 წ. საღ.
№ 5 ბაქოდან(სწრ.). 7 ს. 41 წ. საღ.
№ 10 ბათომიდან. 9 ს. 51 წ. დილ.
ჯულფიდან 6 ს. 53 წ. დილ.
ბორჯომიდან 7 ს. 25 წ. დილ.
„ საღ. 10 ს. 28 წ. საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ 1 ს. 45 წ. დღ.
№ 4 ბაქოსკენ . 7 ს. 3 წ. საღ.
№ 6 ბაქოს(სწრ.) 12 ს. 8 წ. დღ.
№ 9 ბათომისკენ. 8 ს. 53 წ. საღ.
ჯულფისკენ 10 ს. 23 წ. საღ.
ბორჯომისკენ 3 ს. 29 წ. დღ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

თელავისა და წნორისკენ დილ. 8 ს. 58
გურჯაანში მიდის ნაშუადღ. 3 ს. 53 წ.
გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის 4 ს. 53 წ.
თელავში მიდის ნაშუადღევ. 5 ს. 35 წ.
გურჯაანიდან წნორზე მიდის 4 ს. 18 წ.
წნორზე მიდის . . . . . 5 ს. 15 წ.

თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:

დილის . . . . 8 ს. 58 წ.
გურჯაანში მიდის . . . 10 ს. 26 წ.
წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის. . 10 ს. 16 წ.
გურჯაანში მიდის . . . 10 ს. 16 წ.
გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის 10 ს. 46 წ.
თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა" („Новая рѣчь").
ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა
„განათლება"

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო", „თანამედროვე აზრი", „ეშ. მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „კავკაზსკოე სლოვო", „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა" და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია"** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი"** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები"**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები"**—ბეგლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში"**—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.
კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გამგეთ შესახვევი